

ახალი განათლება

18 - 24 მაისი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№18 (772) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ადრეული განათლება

ფანჯარა მეტი შესაძლებლობისკენ

„ადრეული განათლებაში ინვესტიციის ჩადება ქვეყნის სიღარიბიდან გამოყვანის უმოკლესი გზაა. ეს არის ცრეატოლოგიის შეცვლა. ჩვენ, მსოფლიო ბანკში, გვჯერა, რომ თუ დღეს ამას არ გავაკეთებთ, მარცხისთვის ვართ განწირული, რადგან ქვეყანაში, ადამიანური რესურსის განვითარებისთვის, გზა სწორედ ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე გადის.“ – მეარი მიიანგ ტემბონი

„თითოეული დოლარიც ჯი, რომელიც ჩადებული იქნება ადრეული წლების განათლებაში, დაზოგავს შვიდ დოლარს, რომელიც მომდევნო წლებში დაიხარჯება.“ – ლაილა ომარ ბადი

გვერდი 4

სკოლის გამოწვევები

ბარიერები „უბარიერო“ პროფესიაში

თამარ მოსიაშვილი:
„სკოლას მეტი თავისუფლება სჭირდება იმისთვის, რომ თავად დაგეგმოს საკუთარი საქმიანობა. სკოლა და მასწავლებელი ცენტრალიზებულად მიღებული დირექტივების შემსრულებელი არ უნდა იყოს.“

სიმონ ჯანაშია:
„ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც მასწავლებლის განვითარების სისტემას ანესრიგებს, აბსურდულია.“

გვერდი 2

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

საკუთარ თავს ოცნებები შენ თვითონ უნდა აუხდინო

„ჩემი, როგორც პიროვნების, ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა გერმანიაში ცხოვრებამ. ლიტერატურების გადაფასება დროთა განმავლობაში მოხდა. ჯერჯერობით, როცა ქვეყნიდან გასვლის საშუალება გეძლევა, მერე შეგიძლია ჩაღაცები ეთმანეთს შეადარო და უფრო მიხვდე, რა მოგწონს და რა არა, რა უფრო ლიტერატურია და რა არა. შეიძლება, ადრე რაც ძვირფასად მიგაჩნდა, ფასი დაკარგოს, სხვა თვალით შეხედო. ევროპაში ცხოვრებამ მსოფლიო აღმომაჩენინა.“ – მარია ინგოროყვა

გვერდი 6

წიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები

დამსმარე სახელმძღვანელო გაკეთებულია ყველა საგნის მასწავლებლისთვის



პროფესიული უნარების სახელმძღვანელო

დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

თემატიკა: გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ისგ, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

ფასი – 15 ლარი *მიმდინარეობს ხელმოწერა*

სკოლის გამოწვევები

ბარიერები „უბარიერო“ პროფესიაში

„განათლების ხარისხზე უმთავრესი გავლენა მასწავლებლებს აქვთ, მასწავლებლების ხარისხზე კი – განათლების პოლიტიკას“ – წლებია ამ პრობლემის გარშემო ტრიალებს სისტემა, მაგრამ არც თუ ეფექტურად. სკოლებში ისევ პროფესიონალი მასწავლებლების დეფიციტია და ჯერ კიდევ ბევრი მასწავლებელი იღვწის, რომ სახელმწიფოს დაუდასტუროს კომპეტენციები როგორც საგნობრივ, ისე პროფესიულ უნარებში – მოგეხსენებათ, რომ ახალი სქემის მიხედვით, გამოცდა კომპეტენციების დადასტურებით შეიცვალა და ბარიერიც აღარ არსებობს. წელს 27 400-მდე ადამიანი დარეგისტრირდა, მათგან ნაწილი მოქმედი მასწავლებელია და კომპეტენციების დადასტურება სურს, ნაწილი კი – პროფესიაში შესვლის მსურველი.

რატომ ვერ ვითარდება სკოლა და რა უშლის ხელს მასწავლებლების პროფესიულ ზრდას? რეალურად რა ქმნის ბარიერს საქართველოში პედაგოგისთვის – დაწესებული ქულები თუ მასწავლებლის პოლიტიკა? – ამ თემებზე დარგის სპეციალისტები: განათლების დოქტორი სიმონ ჯანაშია და სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის სპეციალისტი თამარ მოსიაშვილი საუბრობენ:

რა აფერხებს ხარისხიანი განათლების მიღებას სკოლებში?

სიმონ ჯანაშია:

სწავლის ხარისხი რომ გაუმჯობესდეს, სკოლები განვითარებადი უნდა იყოს. სკოლების განვითარებას კი ორი რამ სჭირდება – ხელშეწყობა და რესურსები. ხელშეწყობა რეგულაციების გამარტივებით ან იმით, რომ დაინახონ სხვა შესაძლებლობები, რაც მათ გარშემო არსებობს. მაგალითად, როგორ შეიძლება მოაწყონ სასწავლო პროგრამები სხვანაირად ან როგორ შეიძლება განსხვავებულად გამოიყენონ რესურსები, რომლებიც უკვე აქვთ და ა.შ. რეგულაციები კი, რაც შეიძლება ნაკლებ ბარიერს უნდა უქმნიდეთ. თუ სისტემა განვითარებადი არ იქნა, სწავლის ხარისხი ვერ აიწევს, არსებული სისტემა კი არა განვითარებაზე, არამედ შენარჩუნებაზეა ორიენტირებული – შეინარჩუნოს არსებული მასწავლებლები, სასწავლო გეგმა, სახელმძღვანელოები. მანამ ასეთი სისტემა იქნება, სკოლა ვერ განვითარდება. დღევანდელ სისტემაში გადაწყვეტილების მიმღები პირები პირდაპირ ამბობენ, რომ კარგ სკოლას თავისუფლებას იმიტომ ვერ მივცემთ, რომ ცუდი სკოლები ამ თავისუფლებას ცუდად გამოიყენებენ. ბუნებრივია, ეს კარგი სკოლის განვითარებას აფერხებს, ან თუ შეეცდება განვითარდეს, სახელმწიფოს უმალავს, მაგალითად, დამატებითი რესურსების გამოყენებას, რადგან შეიძლება ამისთვის დაისაჯოს კიდეც. თუ სკოლაში ცნობილ მწერალს მიიწვევ იმისთვის, რომ ლიტერატურა ასწავლოს, შეიძლება დაგსაჯონ.

თამარ მოსიაშვილი:

90-იანი წლების საკმაოდ მძიმე წარსულმა, როცა მთლიანად ჩამოშლილი იყო სასწავლო პროცესი როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში, ცუდი გავლენა იქონია დღევანდელი განათლების ხარისხზე. მოქმედი მასწავლებლების დიდ ნაწილს სწორედ ამ წლებში აქვს უმაღლესი განათლება მიღებული. მაშინ ძალიან დიდი კორუფცია იყო და, მოგეხსენებათ, იქ, სადაც კორუფციაა, ხარისხზე საუბარიც კი ზედმეტია. ვისაც სკოლაში უმუშავია, ალბათ დამეთანხმება, რომ სკოლაში სწავლების ხარისხი დამოკიდებულია მასწავლებელზე, მის კვალიფიკაციაზე. ასევე, მნიშვნელოვანია სკოლის მართვაც. სამწუხაროდ, ჩვენი მასწავლებლების ნაწილი ვერ ახერხებს საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებას, ეს რეალობაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. ცხადია, სკოლებში მუშაობენ მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლები, ისინი არაჩვეულებრივ რესურსებს ქმნიან, ცვლიან სკოლის კულტურას, თანამშრომლობენ კოლეგებთან, მონაწილეობენ კონფერენციებში, არაჩვეულებრივად ასწავლიან მომავალ თაობას.

როცა მასწავლებელს შესაბამისი საგნობრივი კომპეტენცია (საგნის ცოდნა) არ აქვს, მის მოსწავლეებს ვერ ექნებათ კარგი შედეგები. ასეთი მასწავლებლის მოსწავლეებს კარგი შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებათ, თუ ისინი დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას მიიღებენ – რეპეტიტორებთან მოემზადებიან. შესაბამისად, კვალიფიციურ მასწავლებლებს (ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად) შეუძლიათ საჯარო სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

საყურადღებოა ისიც, რომ სერიოზულ პრობლემებს ქმნის სახელმწიფო რეგულაციები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანს გამოვყოფ. სკოლებს, სამწუხაროდ, არ აქვთ უფლება დამოუკიდებლად მართონ ადამიანური რესურსი. მე არ ვიცნობ რეგულაციას, სადაც ნათლადაა აღწერილი როგორ უნდა დაიწყოს მუშაობა კვალიფიციურმა და მოტივირებულმა ადამიანმა სკოლაში. მაგალითად, თუ დირექტორმა გადაწყვიტა ქიმიის მასწავლებლის (რომელმაც ვერ დაადასტურა საგნობრივი კომპეტენცია, ვერ გადალახა საგამოცდო ბარიერი) ჩანაცვლება უფრო კვალიფიციური კადრით (რომელსაც ჩაბარებული აქვს გამოცდა და დადასტურებული აქვს კომპეტენციები), მერწმუნეთ, ამას სკოლის დირექტორი ვერ შეძლებს. თუ გაბედა, ამ ქმედებას არასასურველი შედეგი მოჰყვება, მინიმუმ, სასამართლოში პროცესს წააგებს.

როდესაც ახალი კადრის სკოლაში შესვლის აუცილებლობაზე ვსაუბრობთ, ოპონენტებს აქვთ არგუმენტები. ისინი დაჟინებით გვვიმტკიცებენ, რომ საგამოცდო ბარიერის გადალახვა არ ნიშნავს მასწავლებლის მაღალ კვალიფიკაციას. ოპონენტებს ვეთანხმები, ცხადია, არ ნიშნავს, თუმცა საგნის ცოდნის გარეშე შეუძლებელია სამყაროში არსებობდეს კარგი მასწავლებელი. ამასთანავე, მუდმივად იმის მტკიცება, რომ საგნობრივი კომპეტენცია არ არის მნიშვნელოვანი, კიდევ უფრო უფერულს ხდის მასწავლებლის პროფესიას, ამ გზავნილით მომავალ თაობას ვეუბნებით, მასწავლებლობა თუ გინდა, ბევრის ცოდნა საჭირო არ არის. არადა, მასწავლებლის პროფესია იმითაა საინტერესო, რომ ადამიანს რთავს უწყვეტი განათლების პროცესში, უბიძგებს გაიაზროს საკუთარი პრაქტიკა, მოიპოვოს მაღალი ავტორიტეტი სკოლასა და თემში.

ოპონენტები ასევე გვიმტკიცებენ, რომ კვალიფიციური კადრის სკოლაში დასაქმებამ შეიძლება ადამიანის შრომითი უფლება დაარღვიოს. ამგვარი მოსაზრება თავდაყირა აყენებს სკოლის შექმნის უმთავრეს მიზანს. სკოლები, დედამიწის ყველა ქვეყანაში, შექმნილია იმისთვის, რომ იქ ბავშვებმა ისწავლონ. სახელმწიფოები, მოქალაქეები იმიტომ აფინანსებენ სკოლებს, რომ გააზრებული აქვთ ის მიზნები, რასაც ეპოქა უყენებს ქვეყნებს. მასწავლებლის, ისევე როგორც ყველა დასაქმებულის შრომის უფლება, რასაკვირველია, დაცული უნდა იყოს, მაგრამ არა ბავშვის უფლების დარღვევის ხარჯზე. ბავშვს კი აქვს უფლება მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება, მას აქვს უფლება, რომ ასწავლიდეს კვალიფიციური მასწავლებელი.

როდესაც კვალიფიციური კადრების სკოლაში შესვლის თაობაზე ამგვარ მოსაზრებებს ვისმენ სახელმწიფო მოხელისგან, ვფიქრობ, მისი შიში უკავშირდება ცვლილების პროცესში განაწყენებული ადამიანების ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულების ცვლილებას. თითქმის ყოველ წელს არჩევნებია და თითქმის ყოველ წელს ხელისუფლება თავს იკავებს, მწვანე შუქი აუნთოს კვალიფიციურ და მოტივირებულ კადრს სკოლაში. ხელისუფალს არ აწყობს განაწყენებული ადამიანები.

დანარჩენ შემთხვევაში, დარდი უსამსახუროდ დარჩენილ ადამიანებზე, ამაზე ხმამაღლა ემოციურად საუბარი, ჩემთვის არაფრის მთქმელი გულჩვილი სენტიმენტებია. ჩვენ ბევრი კვალიფიციური მასწავლებელი გვჭირდება, რომლებიც ხარისხიან განათლებას მისცემენ ბავშვებს. როგორმე უნდა გავიაზროთ, რომ მასწავლებლობა განათლებული ადამიანის პროფესიაა. როდესაც საზოგადოების მოთხოვნა გახდება კვალიფიციური მასწავლებელი, მხოლოდ შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას ხელისუფლება, კვალიფიციური კადრებიც შეძლებენ სკოლაში დასაქმებას. მაგრამ დღეს ვერ ვხედავ, რომ საზოგადოებას, მშობლებს, სასკოლო თემს კვალიფიციური მასწავლებლის მაღალი მოთხოვნა ჰქონდეთ.

ოჯახები პრობლემას ამგვარად ჭრიან: შვილები მიჰყავთ რეპეტიტორთან, საჯარო სკოლიდან გადაჰყავთ კერძო სკოლაში. მაგრამ რა ქნას იმ ოჯახმა ვისაც არ აქვს შესაძლებლობა, ყოველწლიურად, რამდენიმე ათასი ლარი დახარჯოს შვილის განათლებაში?

რამდენად უზრუნველყოფს სქემა მასწავლებლის პროფესიულ ზრდას?

სიმონ ჯანაშია: ასეთ პოლიტიკის ინსტრუმენტში სხვადასხვა ჯგუფს სხვადასხვა რამ აინტერესებს ხოლმე, მაგალითად, ნანილს – ისეთი სისტემის შემუშავება, სადაც მასწავლებლების დიდი ნაწილი ვერ მიიღებს ფინანსურ გაუმჯობესებას და ბევრ მასწავლებელს სწრაფად არ მოემატება ხელფასი. ამისთვის უნდა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც მხოლოდ მცირე ნაწილს მოუმატებს ხელფასს და ეს სქემაც ამას ემსახურება. ფაქტია, ისეა გაკეთებული, რომ 20 პროცენტზე მეტი მეორე საფეხურზე ვერ გადავიდეს, უფრო ზევით – მესამე საფეხურზე, მასწავლებლების, დაახლოებით, ერთი პროცენტია. პრინციპში, სქემა ამ მიზნისთვისაც კი ცუდადაა დაგეგმილი. რაც უფრო ზევით გადადიხარ, მით უფრო მეტად ეკისრება სკოლას გადაწყვეტილების მიღება, ეს კი გამოიწვევს იმას, რომ რაღაც მომენტში, უცებ, შეიძლება ძალიან ბევრი მასწავლებელი გადავიდეს მესამე და მეოთხე საფეხურზე.

სქემის მეორე პრობლემაა ის, რომ კრიტერიუმებით მანიპულირების გარეშე შეუძლებელია ფინანსური დაგეგმვა. თუ არ იცი, რამდენი ადამიანი უნდა გადავიდეს ერთი საფეხურიდან მეორეზე, ბუნებრივია, ფინანსებს ვერ დაგეგმავ. სინამდვილეში კი, პირიქით ხდება, აგვისტოში იგეგმება ხოლმე შემდეგი წლის ბიუჯეტი, გამოცდები კი იანვარშია. თავისთავად, შეუძლებელია აგვისტოში იცოდე იანვარში რა შედეგებს მიიღებ, თუ წინასწარი პროგნოზი არ გაქვს. პროგნოზი, მხოლოდ და მხოლოდ, იმ შემთხვევაში გამართლდება, თუ შემოწმების შესაბამისი ინსტრუმენტები გექნება, მაგალითად, თუ ტესტირებას ცოტა გადალახავს ან ტრენინგების გავლას ხელოვნურად შეზღუდავ. ასეთ შემთხვევაში, ცოტა მასწავლებელი მიიღებს კრედიტს და, შესაბამისად, ცოტა – ხელფასის გაუმჯობესებას. ეს ყველაფერი ძირს უთხრის იდეას, რომ ყველა, ვინც იმსახურებს ერთი საფეხურიდან მეორეზე, საკუთარი ძალისხმევის ან ცოდნის შესაბამისად, გადასვლას, გადავა.

ეს სქემა სინამდვილეში ილუზიაა, რასაც მასწავლებლებს უქმნიან – რომ დამსახურებულ პირობებს მიიღებ და რასაც რაციონალურად დაგეგმავ, აუცილებლად განახორციელებ. ეს ილუზიები დიდი ხანი ჰქონდათ საბჭოთა კავშირშიც – თუ კატეგორიებს შემოიღებ, მასწავლებლებს, რა თქმა უნდა, მოუნდებათ ერთიდან მეორეში გადასვლა და იმისთვის, რომ გადავიდნენ, კომპეტენციებს აიმაღლებენ. კარგად ვნახეთ საბჭოთა კავშირის დროსაც, 90-იანი წლების ბოლოსაც (როცა მასწავლებელთა კატეგორიები შემოიღეს) და ახლაც, ამ სქემის პირობებშიც, რომ მასწავლებლებს კატეგორიიდან კატეგორიაში გადასვლა იმის გარეშეც შეუძლიათ, რომ რაღაც თვისობრივად შეცვალონ. მასწავლებელს არ სჭირდება პროფესიული ზრდა იმისთვის, რომ სქემის მოთხოვნები დააკმაყოფილოს, მას უბრალოდ, შეუძლია, სხვა მასწავლებლისგან გადაიწეროს რაღაც დოკუმენტაცია და ნარადგინოს სამინისტროში, სამინისტროს კი არასოდეს ექნება იმის შესაძლებლობა, დაადგინოს ეს მართლა მისი დაწერილია თუ სხვისი. ამის მაგალითები სქემის ამუშავების პირველივე ეტაპზე ვნახეთ, როცა გაჩნდა კომერციული სერვისები, რომლებიც, მაგალითად, მასწავლებლებს სთავაზობდნენ რეფლექსიების დაწერას 20 ლარად. ბუნებრივი რეაქციაა, თუ იცის მასწავლებელმა, რომ ამაში 70 ლარს მოუმატებენ, მაშინ მზადაა, დრო არ დახარჯოს ბიუროკრატიული ბარიერის დაძლევაში და 20 ლარი გადაიხადოს, სამაგიეროდ, ეს დრო თუნდაც საოჯახო საქმეებს დაუთმოს. მე რომ მქონდეს არჩევანი, დავწერო თვითშეფასების კითხვარი თუ დავეხმარო გაჭირვებულ ბავშვს სწავლაში, რა თქმა უნდა, გაჭირვებული ბავშვის დახმარებას ავირჩევდი, რადგანაც მორალურად ეს უფრო მაღალი ღირებულების მომტანია ყველასთვის – ჩემთვისაც და საზოგადოებისთვისაც. თუ შემეძლება, რომ 20-ლარიანი კონსულტანტი ვიქირავო, რომელიც ჩემ მაგივრად დაწერს, რა თქმა უნდა, ვიქირავებ. ეს ყველასთვის კარგი იქნება, ბავშვისთვისაც, რომელსაც მეტ დროს დავახარჯავ და კონსულტანტისთვისაც, რომელიც ამაში თანხას მიიღებს, ამასობაში სახელმწიფო დაიჯერებს, რომ მე განვითარება დავიწყე, მეც დროს არ დავკარგავ უაზრო საქმეებში. მოკლედ, ყველა ბედნიერია, ვიღაცამ გეგმა შეასრულა, ვიღაცას ხელფასი მოემატა – რა არის ამაში ცუდი? აი, ასეთ ლოგიკაზეა სქემა აგებული.

საერთოდ ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც მასწავლებლის განვითარების სისტემას აწესრიგებს, აბსურდულია. მაშინ, უმჯობესია, მასწავლებელს თავად სახელმწიფო ქირაობდეს, რადგანაც ის ექცევა როგორც დამქირავებელი და ეუბნება, მომიტანე რაღაც დადასტურება, რომ შენ გაიზარდე, დამიდასტურე, რომ სკოლისთვის რაღაც გააკეთე და ხელფასს მოგიმატებ. სინამდვილეში კი, მასწავლებლის დამქირავებელიც და შემფასებელიც სკოლაა. თუ სკოლას არ ექნება შესაძლებლობა, თავად გადაწყვიტოს, რომელ მასწავლებელს იქირავებს, რომელს მისცემს ბონუსს ან პრემიას, რომელს დანიშნავს უფრო მაღალ თანამდებობაზე, ყოველთვის იქნება აცდენა სკოლის, სახელმწიფოსა და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის. თქვენ წარმოიდგინეთ მშობლის პოზიცია, როცა სკოლა ეუბნება, ჩვენ ძალიან მაგარი მასწავლებლები გვყავს. საიდან იცით ეს? მათ დაადასტურეს თავიანთი შესაძლებლობები რომელიღაც ბიუროკრატთან. არადა, კონკრეტულ მშობელს ყოველდღიური შეხება აქვს ამ მასწავლებელთან და მაიცდამაინც არ მოსწონს, მისი შვილიც უყვება, როგორ იქცევა ის გაკვეთილებზე, ხედავს იმასაც, რომ შვილის ნამუშევრების გასწორებაზეც თავს არ იკლავს. რატომ? იმიტომ, რომ სხვა ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი, საბუთები აქვს შესავსები, გასაგზავნი და ა.შ.

ცალკე საკითხია ისიც, რაში ვიყენებთ საუკეთესო მასწავლებლებს. მაგალითად, არჩევანი თუ ექნებოდა მასწავლებელს, სხვა მასწავლებლების შეფასებაში დახარჯოს დრო თუ მოსწავლეებთან, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა მოსწავლეები აერჩია და მათთვის დაეთმო მეტი დრო. დღევანდელი სისტემა კი მას პირიქით უბიძგებს, ადმინისტრაციული საქმეებით დაკავდეს და არა რეალურად იმ საქმით, რაც მოსწავლის განვითარებას სჭირდება (რატომ არის ეს სისტემისთვის კარგი, არავინ იცის). და თუ კარგი მასწავლებელი არ დათანხმდება ადმინისტრაციული საქმის კეთებას, მაგალითად, შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელობას და ა.შ., გამოვა, რომ დაბალი კომპეტენციების მქონე შეაფასებს მაღალი კომპეტენციების მქონეს, რაც ასევე უაზრობაა სისტემისთვის.

თავიდან ბოლომდე გაუგებარია, როგორ მიაღწევს სქემა მასში გაცხადებულ მიზნებს, სამაგიეროდ, ცხადია, იმ მიზნების მიღწევის შესახებ, რაც არ არის გაცხადებული, მაგალითად, მაქსიმალურად შეზღუდოს მასწავლებლების ხელფასების ზრდა, თან ისე, რომ მათ ნაკლები პრეტენზია ექნეთ იმიტომ, რომ ამ სქემის ფარგლებში შეუძლიათ თამამად უთხრან მასწავლებელს, ხელფასი არ მოგემატება იმიტომ, რომ შენ ვერ მიაღწიე იმას, რისთვისაც უნდა მიგეღწია – ვერ დააკმაყოფილე ტესტის მოთხოვნები, არ იარე ტრენინგზე ან სხვ. პასუხისმგებლობის გადაბარება მასწავლებელზე ხდება, რასაც მარქსისტულ თეორიაში ყალბი ცნობიერების შექმნა ჰქვია – დაჯერო ადამიანები, რომ მათი პრობლემები მათივე ბრალია.

სკოლის გამოწვევები

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ არა მხოლოდ სქემა, არამედ უამრავი ინსტრუმენტი რომ გაუქმდეს, მაგალითად, გამოსაშვები გამოცდები, მისაღები გამოცდები, სასწავლო გეგმების დეპარტამენტი, ზუსტად ისევე გაგრძელდება სკოლის ცხოვრება, როგორც დღეს მიდის, უბრალოდ, ნაკლები ბიუროკრატიული პრობლემები ექნებათ მასწავლებლებს და სკოლის ადმინისტრაციას.

თამარ მოსიაშვილი: სქემა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ამოქმედდა, გულისხმობს როგორც მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას, ისე მასწავლებლობის მსურველთა პროფესიაში შესვლასაც. სქემის ყველაზე დიდ და სერიოზულ ხარვეზად სწორედ ის პუნქტი მიმაჩნია, რომელმაც სერტიფიცირებული მასწავლებლების სკოლაში შესვლის პროცესი 2015 წელს სამი წლით გადაავადა. ეს დიდი შეცდომა იყო, რომლის შედეგად მივიღეთ ის, რომ რამდენიმე ათას მოქალაქეს, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა სასერტიფიკაციო გამოცდა, პროფესიაში შესვლის უფლება, გარკვეული დროის განმავლობაში, ჩამოერთვა. როცა ვამბობთ, რომ სისტემა ახალი კადრების მისაღებად მზად არ არის, რომ არ გვყავს შესაბამისი რაოდენობის კვალიფიციური მასწავლებელი, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორიც, რომ, ათიათასობით კვალიფიციური მასწავლებელი არასოდეს გვეყოლება. ეს პროცესი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. პროფესიას ახალგაზრდა ადამიანები აკლია.

რაც შეეხება ზოგადად სქემას, ზედმეტად ფორმალიზებულია, სასურველია მისი გამარტივება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროფესიულმა განვითარებამ სკოლაში კულტურული გარემო რომ შეცვალოს, მხოლოდ ტრენინგებზე დასწრება არაფერს ნიშნავს. თავისთავად, ტრენინგი ცოდნის მიღებას ხელს უწყობს, მეტიც, ახალი ცოდნის შეძენა მასწავლებლის პროფესიის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ მას აუცილებლად უნდა მოჰყვეს გარკვეული აქტივობები, რომლებიც მასწავლებელმა უნდა განახორციელოს – რაღაც ახალი და საინტერესო შექმნას, ჩვენ კი, საზოგადოებამ, უნდა ვაღიაროთ მისი შრომა.

სქემის გამარტივების აუცილებლობაზე თვითონ მასწავლებლებიც ხშირად საუბრობენ. ჩივიან, რომ სქემით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშების წერა ძალიან დიდ დროს ართმევთ და რომ ეს ზედმეტად ფორმალური და შრომატევადი საქმეა. მათი აზრით, ფუჭ შრომას უფრო მეტი დრო მიაქვს, ვიდრე სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ სასარგებლო საქმეს. აქაც ბალანსის დაცვაა საჭირო – მასწავლებელი, რომელიც სასწავლო პროცესში გარკვეულ ნოვაციას დანერგავს, თუ ამის დოკუმენტირება არ მოახდინა, ვერ შეძლებს საზოგადოებას გააგებინოს ამის შესახებ ან კოლეგებს გაუზიაროს გამოცდილება. გასაგებია, ეს უნდა აკეთოს კიდეც, მაგრამ მუდმივად ყველაფრის დოკუმენტად ასახვა თუ აუცილებელ მოთხოვნად იქცა, მასწავლებელს ეს მართლაც ძალიან გადაღლის და ამ პროცესს მისთვის უინტერესოს გახდის.

ცხადია, სკოლას მეტი თავისუფლება სჭირდება იმისთვის, რომ თავად დაგეგმოს საკუთარი საქმიანობა. სკოლა და მასწავლებელი ცენტრალიზებულად მიღებული დირექტივების შემსრულებელი არ უნდა იყოს. სკოლებში იმდენი საკითხია გადასაწყვეტი, რომ შეუძლებელია ყველგან ყველაფერი ერთნაირად გადაწყდეს. სკოლას არ უნდა ეშინოდეს პრობლემების იდენტიფიცირების და მისი გადაჭრის გზების ძიების, არ უნდა უფრთხოდეს დახმარების თხოვნას – ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე მხრივ, ეს სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ სკოლა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულია, სკოლისგან აუცილებლად უნდა მივიღოთ ინფორმაცია, რა მიღწევები ან რა პრობლემები აქვს, მაგრამ ანგარიშვალდებულებები და რეგულაციები ზედმეტად შემზღუდველი არ უნდა იყოს. ახლა იმ ზღურბლთან ვდგავართ, როცა ბევრი უნდა ვიფიქროთ სკოლების გათავისუფლების საკითხზე, იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, რომ საქართველოში ყველა სკოლა ერთნაირი არ არის, ნაწილს აქვს უნარი დამოუკიდებლად, ზედმეტი დირექტივების გარეშე ბევრი სასარგებლო საქმე აკეთოს.

ეს შეიძლება სქემას არ ეხება, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხი მგონია. საჯარო სკოლებს მამაკაცი მასწავლებლები აკლია. ჩვენი ბავშვები, ძირითადად, ქალი მასწავლებლების აღზრდილები არიან და ვფიქრობ, გენდერული ფაქტორი აღზრდის პროცესზე გარკვეულ გავლენას ახდენს.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

კონფერენცია

72-ე საჯარო სკოლა – ცოდნის ლაბორატორია

„თქვენი სკოლა ცოდნის ლაბორატორია ყოფილა!“ – ასე შეაფასა სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტმა, **ნინო ბესელიამ** ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლის დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივის ერთიანი ძალისხმევით, მასწავლებლის სახლში, 11 მაისს ჩატარებული კონფერენცია. კონფერენციის მიზანი იყო პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება, სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ციფრული რესურსებისა და მედიაწიგნიერების გამოყენების კუთხით.

სკოლის დირექტორის, **მანანა კიკაჩეიშვილის** ორგანიზებით, დირექტორის მოადგილეების: **ნანა აბრამიშვილისა** და **კარინე მანკულოვას** უდიდესი მონდომებითა და პედაგოგიური კოლექტივის დიდი ენთუზიაზმით, მოხერხდა ამ წამოწყების განხორციელება.

შიდასასკოლო კონფერენციებს, უკვე ორი წელია, ატარებს დაწყებითი სწავლების კათედრა, პროექტის ავტორის, უფროსი მასწავლებლის, ფასილიტატორის, მასწავლებელთა ეროვნული კონფერენციების მონაწილის, **ნატო ხაჭაპურიძის** ხელმძღვანელობით. ამ ეტაპზე, კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს სხვადასხვა საგნის პედაგოგებმაც. სკოლის დირექტორის ინიციატივით, დაიგეგმა კონფერენცია სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში. მომზადდა ანოტაციები, პრეზენტაციები, სკოლის ცხოვრების ამსახველი ბუკლეტი, კონფერენციის პროგრამა; მიეწოდა ინფორმაცია რესურსცენტრს და საჯარო სკოლებს.

კონფერენციას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტები – **ნინო ლაპარტყავა**, **ნინო ფეტვიაშვილი**, **ლევან ახვლედიანი**, **რუსუდან თედორაძე**, **ნათია არაბული**, **ზაქრო გიუნაშვილი**; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამმართველოს მულტიდისციპლინური გუნდის წევრი **თამუნა კბილცეცხლაშვილი**; 65-ე, 144-ე, 182-ე და მე-9 სკოლების დირექტორები; პედაგოგები 96-ე, 180-ე, 144-ე, მე-9, 74-ე, 182-ე, 70-ე, 82-ე, 156-ე, 218-ე, 153-ე და 59-ე სკოლებიდან.

ასეთი აუდიტორია მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ადამიანს, თუმცა პრეზენტატორებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ გამოწვევას. დამსწრე აუდიტორიამ მოისმინა საინტერესო მოხსენებები სხვადასხვა თემებზე.

კონფერენცია გახსნა და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ქალბატონმა მანანა კიკაჩეიშვილმა. წარმოდგენილი იყო თორმეტი მოხსენება:

❖ გამჭოლი კომპეტენცია – მედიაწიგნიერება და მისი გამოყენება სასწავლო პროცესში – **ნატო ხაჭაპურიძე**, დაწყებითი კლასის პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი, ფასილიტატორი;

❖ სასწავლო პროექტი – „ჩვენ ანიმატორები“ – **ქეთევან ქათამაძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი, ფასილიტატორი;

❖ სასწავლო პროექტი: მათემატიკა და მომიჯნავე დისციპლინები – **ანა ფურცელაძე**, მათემატიკის პედაგოგი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, უფროსი მასწავლებელი;

❖ აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლის კლასში ინტეგრაცია – **მარინე აფციაური**, დაწყებითი კლასის პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი;

❖ ჟან პიაჟეს „ოპერაციამდელ სტადიაზე მყოფი ბავშვი“ და ანიმაციური ამოცანები – **ხათუნა ნოზაძე**, დაწყებითი კლასის პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი;

❖ პროგრამა GeoGebra-ს გამოყენება მათემატიკის გაკვეთილებზე – **ნაირა ვართანოვა**, მათემატიკის პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი;

❖ პროექტი – საქართველოს კუთხეები – **ლელა ჯავახიშვილი**, დაწყებითი კლასის პედაგოგი;

❖ „სუნთქვით მიღებული ენერგია“ ინტეგრირებული გაკვეთილი (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) – **ირმა კაკუშაძე**, ქიმიის პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი, ფასილიტატორი;

❖ პროექტი – „ბრწყინვალე შვიდიანი“ – **ალბინა მანუკიანი**, დაწყებითი კლასის პედაგოგი;

❖ პროექტი – „საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები“ – **მზია პაპაშვილი**, დაწყებითი კლასის პედაგოგი;

❖ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება საგაკვეთილო პროცესში (გამჭოლი კომპეტენცია – ისტ-ის წიგნიერება) – **ლელი ჯანხოთელი**, დაწყებითი კლასის პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი, დაწყებითი კლასების (ქართული სექტორი) კათედრის ხელმძღვანელი;

❖ ელექტრონული რესურსის გამოყენება გეოგრაფიის გაკვეთილებზე – **ფიქრია ოტიაშვილი**, გეოგრაფიის პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი.

სკოლის ინიციატივა შეფასდა, როგორც საინტერესო წამოწყება და სხვა სკოლებმაც გამოთქვეს სურვილი, სამომავლოდ ჩაატარონ მსგავსი კონფერენციები. დირექციამ დიდი მადლობა გადაუხადა მასწავლებლის სახლს, მის ხელმძღვანელობას, ბატონ **გიორგი მაჩაბელს**, ქალბატონ **ეკა მამაცაშვილს** მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავება, თანაგანცდისა და ემპათიის უნარების გაღრმავება, ტოლერანტობისა და წიგნიერების დონის ამაღლება, ციფრული რესურსების სწორად და სწრაფად გამოყენება – ეს სწორედ იმ უნარების ჩამონათვალია, რომელთა განვითარება ამ კონფერენციით იყო გათვალისწინებული და რომლებიც აყალიბებს თანამედროვე მოზარდს ღირსეულ ადამიანად და 21-ე საუკუნის მოქალაქედ.

ქეთევან ქათამაძე
სსიპ ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

ადრეული განათლება

ფანჯარა მეტი შესაძლებლობისკენ

რა პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლება, რატომ არის ადრეულ განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, როგორ გავხადოთ ის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი – ამ საკითხებს მიეძღვნა გაეროს ბავშვთა ფონდის, მსოფლიო განკისა და საერთაშორისო სკოლის (ISET) ორგანიზებით გამართული ფორუმი. სკოლამდელი განათლების ფორუმი პირველია განათლების თემაზე დაგეგმილი სადისკუსიო ფორუმების სერიაში, რომელთა მიზანია, ბიძგი მისცეს დებატებსა და კრიტიკულ ანალიზს განათლების სფეროში მთავრობის პრიორიტეტებისა და ინვესტიციების შესახებ. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პრეზიდენტმა ერიკ ლივინმა, განათლების პოლიტიკის ფორუმის გახსნისას განაცხადა, რომ დისკუსია განათლების ყველაზე ადრეული ფაზით დაიწყეს და უწყვეტ, მუდმივ განათლებამდე გააგრძელებენ. „ხშირად მისვამენ კითხვას – რა არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების დამაბრკოლებელი ძირითადი ფაქტორი (საუბრობენ ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე, ინფრასტრუქტურასა და სხვა საკითხებზე) და მე ყოველთვის ერთი და იმავეს ვპასუხობ – მთავარი დაბრკოლება იმ ადამიანების ნაკლებობაა, რომლებსაც აქვთ სათანადო უნარები, დისციპლინა და სურვილი, იმუშაონ და საკუთარი წვლილი შეიტანონ ეკონომიკის განვითარებაში. თუ ამ დაბრკოლებას არ დავძლევთ, ნებისმიერი სხვა ძალისხმევა უსარგებლო იქნება.“

პირველი სადისკუსიო თემა, დარგის სპეციალისტებისა და ამ საკითხით დაინტერესებული ადამიანებისთვის ძალიან საინტერესო კვლევებითა და პრეზენტაციებით დაიწყო, განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევამ, რომელიც ფლორიან ბირმანმა წარმოადგინა და რომელიც ეკონომიკურ ჭრილში დანახულ ადრეული განათლების პერსპექტივებს შეეხებოდა. კვლევის დეტალების განხილვამდე, იმ მნიშვნელოვან მესიჯებსა და გეგმებს შემოგთავაზებთ, რომელიც ფორუმზე დარგის სპეციალისტების მიერ დასახელდა.

ლალი ჯელაძე

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში **ლაილა ომარ გადი** *ფორუმს საუკეთესო შესაძლებლობას უწოდებს და თანამშრომლობისთვის იწვევს განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელ ადამიანებს, დარგის სპეციალისტებს და მათ, ვისაც ხელეწიფებათ, შეცვალონ საქართველოში სკოლამდელი განათლების სისტემა და გაზარდონ განათლების ხარისხი, ხელმისაწვდომობა, რადგან ადრეული განათლება ერთ-ერთი უნიშვნელოვანესია იმ თვალსაზრისითაც, რომ სხვა ამოცანების მიღწევა სწორედ მასზეა დამოკიდებული: „ფორუმი სკოლამდელი განათლების შესახებ საუკეთესო შესაძლებლობაა იმისთვის, რომ შევიკრიბოთ და გავაცნობიეროთ, ადრეულ ასაკში ჩადებული ინვესტიცია რა შედეგს მოუტანს საქართველოს. ადრეული ასაკი, ფაქტობრივად, ფანჯარაა შესაძლებლობის გასახსნელად. თითოეული დოლარიც კი, რომელიც ჩადებული იქნება ადრეული წლების განათლებაში, დაზოგავს შვიდ დოლარს, რომელიც მომდევნო წლებში დაიხარჯება. ძალიან მნიშვნელოვანია ადრეულ განათლებაში ინვესტიცია იმ ბავშვებისთვისაც მოხდეს, რომლებიც მოწყვლად ჯგუფებს განეკუთვნებიან და გარიყულები არიან. ამით მათ მეტი შესაძლებლობები გაეხსნებათ.“*

საქართველოს მთავრობამ, 2015 წელს, მიიღო კანონი ადრეული განათლების შესახებ – ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელიც ამ მიმართულებით გადაიდგა, თუმცა იმისთვის, რომ კანონის განხორციელების სტადია რეალობად იქცეს, ბევრი რამაა გასაკეთებელი. „ამ ღონისძიებების სერიების მიზანიც ეს არის – ვითანამშრომლოთ და ვიმუშაოთ განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელ ადამიანებთან, პოლიტიკოსებთან, რომ გავაუმჯობესოთ საქართველოში განათლების სექტორის შედეგები, გავაუმჯობესოთ სტანდარტები, ავამაღლოთ საზოგადოების ცნობიერება, გავხსნათ ის კარიბჭე, რომლის მეშვეობითაც მიდის გზა ეკონომიკის განვითარებისკენ.“ – აღნიშნა ლაილა ომარ გადიმ.

თანამედროვე მეცნიერება მიიჩნევს, რომ ყველაზე სწრაფი განვითარების პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში ადრეული წლებია. განათლების პირველი ათასი დღე ბავშვს განვითარების უნიკალურ შესაძლებლობებს აძლევს. ის პოზიტიური თუ უარყოფითი განცდები, რასაც ამ პერიოდში გაივლის, მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება. „ხარისხიან სკოლამდელ განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ამცირებს მომავალში სოციალური დახმარების გაწევის საჭიროებას, ვინაიდან, კვლევებით დასტურდება, რომ ბავშვები, რომლებსაც გავლილი აქვთ სკოლამდელი განათლება, ნაკლები ალბათობით შეიძლება გახდნენ კრიმინალები, კონფლიქტში შევიდნენ კანონთან. მათ მეტი შესაძლებლობა აქვთ, იშოვონ სამსახური და ექნეთ კარგი ანაზღაურება“ – ამბობს ლაილა ომარ გადი და ხარისხიანი განათლების დამაბრკოლებელ ფაქტორებს შორის, უმთავრესად ხელმისაწვდომობას ასახელებს, რაც განსაკუთრებით რეგიონებში ფიქსირდება: *„ სოფლად მცხოვრებ 3-6 წლის ბავშვებს ნაკლები შანსი აქვთ, მიიღონ სკოლამდელი განათლება, ვიდრე ქალაქში მცხოვრებ ბავშვებს. საქართველოში ყოველი ორი ბავშვიდან ერთი არ დადის საბავშვო ბაღში. ამავე დროს, განათლების ხარისხი თვითონ თანამშრომლებზეა დამოკიდებული. სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებლების კვალიფიკაციის ზრდაზე მუდმივად უნდა იზრუნოს სახელმწიფომ“.*

არანაკლებ მნიშვნელოვანია პროცესის და შედეგების მონიტორინგი, ასევე, სისტემის მენეჯმენტი – როგორ მუშაობს სისტემა. ლეილა ომარ გადი იმ საბჭოთა მემკვიდრეობაზეც საუბრობს, რაც ძალიან ცუდ ზეგავლენას ახდენს ადრეული განათლების განვითარებაზე, თუმცა, პასუხისმგებლობას მხოლოდ სკოლებსა და ბაღებს არ აკისრებს. ამბობს, რომ ეს თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა, ოჯახებისა და მზრუნველების ჩათვლით. .

მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიაში **მერსი მიიანგ ტემბონი** *მიჩნევს, რომ ადრეულ განათლებაში ინვესტიციის ჩადება ქვეყნის სიღარიბიდან გამოყვანის უმოკლესი გზაა: „ეს არის ტრაექტორიის შეცვლა. ჩვენ, მსოფლიო ბანკში, გვჯერა, რომ თუ დღეს ამას არ გავაკეთებთ, მარცხისთვის ვართ განწირული, რადგან ქვეყანაში, ადამიანური რესურსის განვითარებისთვის, გზა სწორედ ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე გადის.*

მეცნიერებმა დაამტკიცეს, თუ ბავშვი ადრეულ ასაკში იღებს კარგ განათლებას, ის უკვე მზადაა ცხოვრებისთვის, რადგან მზადაა სკოლისთვის. იმის გარდა, რომ სკოლამდელი განათლება ბავშვს სკოლისთვის ამზადებს, უპირველეს ყოვლისა, მშობლებისგან დამოუკიდებლად ცხოვრებასაც აჩვევს, ასწავლის მათგან მოწყვეტით, სხვებთანაც როგორ იურთიერთონ, რადგან მსოფლიო ხომ მხოლოდ ოჯახის წევრებისგან არ შედგება, აუცილებელია კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება, დამეგობრება. სკოლამდელი განათლება კი მათ ამ არჩევანის საშუალებასაც აძლევთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ცხოვრების უკეთესი დასაწყისია.“

მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევამ აჩვენა, რომ 2015 წელს, საქართველოში, 3-5 წლის ბავშვების 62.3% დადიოდა საბავშვო ბაღში. ეს მონაცემი არადამაკმაყოფილებელია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებისთვის ამ ასაკის ბავშვთა საბავშვო ბაღში დასწრების საშუალო მაჩვენებელია 80.6%, ხოლო ევროკავშირის 27 ქვეყანაში კიდევ უფრო მაღალი – 82.6%. თუმცა, კიდევ მეტად შემაშფოთებელია სკოლამდელი განათლების არათანაბარი ხელმისაწვდომობა. მდიდარი ოჯახების ბავშვთა თითქმის 70% დადიოდა საბავშვო ბაღში, ხოლო ღარიბი ოჯახებისთვის ეს მაჩვენებელი 51.8% იყო. ზოგადად, საბავშვო ბაღში დასწრების მაჩვენებელი უფრო მაღალია ქალაქში, ვიდრე სოფლად (67.6% და 55.1%).

პრობლემად რჩება საქართველოს სკოლამდელი განათლების სისტემის ხარისხიც. საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ, 2011 წელს ჩატარებული, სკოლისათვის მზაობის კვლევის თანახმად, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებული ბავშვების მხოლოდ ერთი მესამედი აკმაყოფილებს დადგენილ შემეცნებით სტანდარტებს.

2015 წელს მიღებული, „კანონი ადრეული განათლების შესახებ“ ფასდება, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი, თუმცა, მხოლოდ კანონის მიღება რომ საკმარისი არ არის, ამაზე კვლევებით გამოვლენილი სტატისტიკაც მეტყველებს და არც დარგის სპეციალისტები და მთავრობის წარმომადგენლები უარყოფენ. საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში** *აცხადებს, რომ პრობლემა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს წინაშე არ დგას, ის დამახასიათებელია დაბალშემოსავლიანი თუ საშუალოშემოსავლიანი სახელმწიფოებისთვის: „მართალია, 2015 წელს უკვე მივიღეთ კანონი სკოლამდელი განათლების შესახებ, მაგრამ იმის გამო, რომ სისტემა საკმარისად განვითარებული არ არის, გარკვეული დრო გვჭირდება, იმისთვის, რომ სფეროში შემოვიტანოთ და დავნერგოთ ეროვნული სტანდარტები. ჩვენი მიზანია, სკოლამდელი და ადრეული განათლება ხელმისაწვდომი გავხადოთ 3-დან 6 წლამდე ბავშვების 90 პროცენტისთვის მაინც, მხოლოდ 55 პროცენტისთვის ხელმისაწვდომობა, რაც ახლა სოფლებში გვაქვს, მიუღებელია.*

ჩვენ ისეთი კანონი გვაქვს, რომელიც გარანტიას და უფლებას აძლევს ყველა ბავშვს, მიიღოს განათლება. სამწუხაროდ, არ გვაქვს საკმარისი ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი, რომ ქაღალდზე დაწერილი გარანტირებული უფლებები რეალობად ვაქციოთ, განსაკუთრებით კი ეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ეხებათ.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ადრეულ განათლებაში ინვესტიციების ჩადება ქვეყნის განვითარებისთვის კრიტიკული მნიშვნელობისაა. მოხარული ვარ, რომ ამჟამად განათლების სექტორის განვითარება იმ ოთხი უმთავრესი პრიორიტეტიდან ერთ-ერთია, რომელიც მთავრობამ დასახა. როგორც მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა ახსენეს, განათლების სისტემის გლობალური განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფინანსების შეზღუდულობა, რადგანაც ჩვენ დაბალი ან საშუალო შემოსავლების ქვეყანას ვეკუთვნით. ჯერ არ გვაქვს იმის შესაძლებლობა და გლობალური პარტნიორობა, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩავდოთ განათლების სექტორში.“ მისი თქმით, ამჟამად განათლების კომიტეტი, სამინისტროსთან ერთად, მუშაობს, ქვეყანაში სკოლამდელი დაწესებულებებისა და ადამიანური რუსურსების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე, რომელიც განთავსდება ვებგვერდზე. მიღებული იფნორმაციით გაანალიზდება სისტემაში არსებული ხარვეზები.

რატომ უნდა გვაღელვებდეს საქართველოს სკოლამდელი განათლების მდგომარეობა? – ამის შესახებ ფორუმზე საერთაშორისო ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელმა **ფლორიან ბირმანმა** *კვლევის პერეზენტაცია გააკეთა, რომელიც დეტალურად განიხილავს საქართველოში ადრეული განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას. მისმა პრეზენტაციამ განსაკუთრებული ყურადღება ეკონომიკურ ჭრილში დანახული პერსპექტივებით მიიქცია, რომლის საილუსტრაციოდ ცნობილი ეკონომისტისა და ნობელის პრემიის ლაურეატის, ჰეკმანის მიერ განხორციელებული „პერის პროგრამის“ დეტალები წარმოადგინა.*

„სამი თვის წინ, ჩემთვის რომ გეკითხათ, რას ვფიქრობ საბავშვო ბაღებზე, ალბათ, გამეცინებოდა, იქიდან გამომდინარე, რომ მე ეკონომისტი ვარ, ეკონომიკურ საკითხებზე ვმუშაობ – ამბობს ფლორიანი, – *მაგრამ იმის შემდეგ, რაც მუშაობა დავიწყე აქ წარმოდგენილ იუნისეფის ჯგუფთან, მათ დამარწმუნეს, რომ უნდა მემუშავა ამ მიმართულებით და ჯვაროსნებივით დავიწყეთ ბრძოლა. გავხდი „ჯვაროსანი“, რომელიც მხარს უჭერს იდეებს, რომელსაც ერთი რეალური გამოცდილების მაგალითზე გაგაცნობთ და მიხვდებით, რატომ ვარ ასე ენთუზიაზმით განწყობილი. საქართველო არ არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში, კარგი პროგრესია მიღწეული, ძალიან შთამბეჭდავი რამ ხდება სკოლამდელ სექტორში და ეს, მთავრობასთან ერთად, იუნისეფის დამსახურებაა. ის დიდი ხნის განმავლობაში ხელს უწყობს სკოლამდელი განათლების განვითარებას. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი, დეფიციტი კიდევ დიდია საქართველოს სკოლამდელ სექტორში.“*

მისი თქმით, საქართველოში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება საბავშვო ბაღების მცირე რაოდენობა, მთავარია დაწესებულებები მოსახლეობის შესაბამისობაში იყოს. 2011-12 წლების მონაცემებით, საქართველოში 1244 ბაღი ფუნქციონირებს და მათგან თბილისში 157-ია, ხოლო იმერეთში – 237, დასახელებულ ქალაქსა და რაიონს შორის განსხვავებაა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, ამიტომაც, თბილისში ბაღების რაოდენობა აუცილებლად უნდა გაიზარდოს. პრობლემაა ასევე ბაღში დასაქმებულთა რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია. 1244 ბაღში დასაქმებულია გარკვეული რაოდენობის სპეციალისტი, რომლებმაც განათლება საბჭოთა სისტემაში მიიღეს და წარმოიდგინეთ, როგორი გასაუმჯობესებელია მათი კვალიფიკაცია, ამბობს ფლორიან ბირმანი. შედარებით ახალგაზრდები კი, ამ სპეციალობით ვეღარ იღებენ განათლებას, რადგან უნივერსიტეტებში ეს ფაკულტეტი აღარ არსებობს. ამიტომაც მთავარ გამოწვევად მიიჩნევს ახალგაზრდა კადრების მომზადებასა და შეყვანას ბაღებში.

ფლორიან ბირმანი ჰეკმანის მიერ განხორციელებულ პროგრამას საკმაოდ ამბიციურს უწოდებს და ამბობს, რომ მან, ნობელის პრემიის მიღების შემდეგ, ძირითადი ფოკუსირება სწორედ სკოლამდელ განათლებაზე დაიწყო, რაც ხაზს უსვამს სკოლამდელი განათლების მნიშვნელობას. „პერის პროგრამა“1962-1967 წლებში განხორციელდა და, ძირითადად, მოიცავდა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ აფროამერიკელ 3-4 წლის ბავშვებს. ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ საკმაოდ დიდი დრო – 50 წელი გავიდა. აქედან გამომდინარე, საშუალება გვეძლევა, დავაკვირდეთ სკოლამდელი განათლების მნიშვნელობას გრძელვადიან პერსპექტივაშიც. საკმაოდ ამბიციური პროგრამა მიზნად ისახავდა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი აფროამერიკელი 3-4 წლის ბავშვების მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლებით უზრუნველყოფას. სერტიფიცირებული ბაკალავრის ან მაღალი ხარისხის მქონე საჯარო სკოლის მასწავლებლები ბავშვებს ყოველდღე 2,5-საათიან მეცადინეობებს უტარებდნენ. საშუალოდ, ერთ მასწავლებელზე 6 ბავშვი მოდიოდა და ისინი ჩართულები იყვნენ აქტივობებში.

კვირაში ერთხელ, მასწავლებლები ოჯახს სტუმრობდნენ და საათნახევრიანი შეხვედრით დედას საგანმანათლებლო პროცესში ჩართვაში ეხმარებოდნენ. პროგრამის მიერ გაწეული დანახარჯი ერთ ბავშვზე შეადგენდა, საშუალოდ, 11 300 დოლარს (2007 წლის ნომინირების მიხედვით).

„პერის პროგრამის“ შესწავლამ აჩვენა, რომ დახარჯულ 1 დოლარს მოაქვს 14-პროცენტიანი უკუგება, რაც ბევრად აღემატება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მიღებულ მოგებას (7,2%). შეფასებებიდან გამომდინარე, სკოლამდელ განათლებაში განხორციელებული ინტერვენცია ბევრად მომგებიანია საზოგადოებისთვის.

ბავშვებს, რომლებიც მონაწილეობდნენ პროექტში და მიიღეს სკოლამდელი განათლება, ფაქტობრივად, ოთხჯერ გაეზარდათ შე-

ადრეული განათლება

საძლებლობა, მიეღოთ უფრო მაღალი შემოსავალი. 30 პროცენტით მეტ ბავშვს აქვს საკუთარი სახლი, მასთან შედარებით, ვინც პროგრამაში არ მონაწილეობდა. ამ ბავშვების 41 პროცენტს არ უწევს სახელმწიფო შემწეობის მიღება. *„გარდა ეკონომიკისა, სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს პიროვნების ჩამოყალიბებას და ის გახდა საჯარო განათლების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. სკოლამდელ განათლებას შეიძლება უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიდრე ადამიანური კაპიტალის ფორმირებაა. მისი წყალობით ინდივიდებს მორალური ღირებულებები და სოციალური ფასეულობებები უყალიბდებათ.“* – ამბობს ფლორიან ბირმანი.

რა ხდება ამ მხრივ საქართველოში? რამდენად მნიშვნელოვნად არის აღქმული ბაღების როლი ბავშვების განვითარების პროცესში? ბაღის აღმზრდელებისგან შემდგარი ფოკუს-ჯგუფების შეხედულებების შესახებ ISET-ის კვლევიდან ვიგებთ, რომ მშობლებისთვის ბავშვების ბაღში ტარების მიზეზი ის არის, რომ მათ სურთ, ჰქონდეთ თავისუფალი დრო ან მუშაობენ და ვერ ახერხებენ ბავშვებზე ზრუნვას. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის მშობელი იმიტომ ცდილობს ბავშვი ბაღში ატაროს, რომ მიიღოს ინკლუზიური განათლების სერვისები, ბაღებში არსებული კარგი კვება და სკოლამდელი განათლება. ბაღის პერსონალი კი, კვალიფიციურობასა და ანაზღაურებაზე ამახვილებს ყურადღებას.

კვლევაში შესული ეს ციტატა ჯგუფებში ბავშვების გადამეტებულ რაოდენობას ეხება: *„ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ერთ მასწავლებელზე ბავშვების ძალიან დიდი რაოდენობა მოდის, რაც ხელს უშლის წესრიგს და ქმნის ქაოსს, შეუძლებელია სათანადო ყურადღება მიაქციო თითოეულ ბავშვს.“* ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად, ქვემო ქართლში, ერთ მასწავლებელზე 27 ბავშვი მოდიოდა.

მოხსნის თუ არა მეტი დაფინანსება ყველა პრობლემას? – ამის შესახებ ფორუმის მონაწილეები თანხმდებიან, რომ განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი ჯერ კიდევ მწირი დაფინანსებაა, შესაბამისად, შეზღუდული რესურსები კარგად უნდა იქნეს პრიორიტიზირებული და მიმართული, მკაფიოდ უნდა იყოს გარკვეული რისი მიღწევა გვსურს.

ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ პოლიტიკის ფორუმზე შემუშავებული რეკომენდაციები საფუძვლად დაედება განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს სკოლამდელი და ადრეული განათლების შესახებ კანონის განხორციელებას.

„ვეფხისტყაოსანი“ – 850

როგორ არის ასახული „ვეფხისტყაოსანში“ წმინდანების – მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის მოძღვრება

შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ კოსმიური სამყაროს საოცრებაა. „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ყველა გენიალური ქმნილება, მარადიულია. ბევრი, ძალიან ბევრი დაწერილა და დაიწერება მასზე, მაგრამ არასოდეს გათავდება სათქმელი. ეს ნაშრომი მცირედი ნაწილია „ვეფხისტყაოსნის“ ამოუწურავი საკაცობრიო ცოდნისა. ამ სტატიაში განვიხილავთ ერთ-ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან მოვლენას და, ვფიქრობთ, მისი გაცნობა გაამდიდრებს მოსწავლეთა ცოდნას „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორზე, გაუადვილებს ღვთიური სამყაროს შეცნობას და ხელს შეუწყობს მათ ზნეობრივ გაკეთილშობილებას.

როგორც ცნობილია, 1961 წელს, იერუსალიმში წარგზავნილმა ქართულმა დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ დიდი მეცნიერები: აკად. აკაკი შანიძე, აკად. გიორგი წერეთელი და პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, ქართველთა ჯვრის მონასტრის კედელზე მიაკვლიეს შოთა რუსთაველის უძველეს ფრესკას: „მთელ სვეტზე აღმართული წმინდანების იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფერხთა შორის დგას იგი, ხელებაპყრობილი“ – წერს ირაკლი აბაშიძე „პალესტინის დღიურში“.

რატომ მაინცდამაინც ამ წმინდანების ფერხთა შორის დგას შ. რუსთაველი? ამაზე ბევრი დაიწერა, მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენი მოკრძალებული კვლევა ამ საკითხის ირგვლივ მკრეხელობა არ იქნება.

„როგორც ცნობილია – წერს აკად. შალვა ამირანაშვილი – *რუსთაველი გამოსახულია ხელაპყრობით მაქსიმე აღმსარებლისა (VIIIს.) და იოანე დამასკელის(VIIIს.) წინაშე, მლოცველის პოზაში დაჩოქილი. თუ გავითვალისწინებთ ფეოდალური ხანის კედლის მხატვრობის წესს, იგი ერთდროულად ორივე წმინდანს ევედრება და არა ერთ მათგანს, სახელდობრ, იოანე დამასკელს“.* გავეცანით ორივე დიდი წმინდანის შრომებს და კიდევ ერთხელ შევისწავლეთ „ვეფხისტყაოსანი“. ჩვენ წინაშე გადაიშალა საოცარი სურათი. პოემაში ვიხილეთ წმ. მაქსიმე აღმსარებლის მისტიკური სამყაროს შერწყმა წმ. იოანე დამასკელის დოგმატურ მოძღვრებასთან.

მაქსიმე აღმსარებლის ბიოგრაფია გვიამბობს: **„პატრიარქმან თქუა: რაი არს სარწმუნოებაი შენი და ვითარ აღიარებ, გუაუწყე... მაქსიმე გამოსახა სასწაული ჯვარისაი პირისა თვისსა და თქუა: მრწამს ერთი ღმერთი, მამაი უშობელი; და ერთი ძეი და სიტყვაი ღმრთისაი, მამისაგან შობილი და ერთი სული წმინდაი სამებასა თაყვანის-ვსცემ ერთარსებით და ერთარსებასა სამებით“** – **რუსთაველი: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“. წმ. მაქსიმე აღმსარებელი: „მერე თქუა და იქმნეს ცაი და ქუეყანაი, თვისად“. რუსთაველი: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ჩვენ კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“.** წმ. მაქსიმე აღმსარებელი: **„ერთსა ღმერთეებსა აღვიარებ წმინდასა სამებისასა... დაუსაბამოსა და დაუსრულებელსა, დაუდებსა, უხილავსა, გარეშემოუწერელსა, მოუგონებელსა, უსაზღვროსა, უცვალებელსა, უკვდავსა, უვნებელსა...“** პოემის გმირი ავთანდილი: „ილოცავს, იტყვის: **„მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო, ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო, უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო, მომეც დათმობა სურვილთა, მფარველო გულისთქმათაო“.** ისევ ავთანდილმა თქვა: **„ღმერთო, გმადლობ, რომელ ხარ ჭირთა მომალხენელი; ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი“.** აქ მოხმობილ ციტატებს ბევრი აქვს საერთო.

წმ. მაქსიმე აღმსარებელი ზეციურის დამკვიდრების მისტიკური იდეის აღიარებას ცდილობდა ფსევდოდიონისე არეოპაგელის წიგნების კომენტარებით. *„აქ პირველ რიგში უნდა მივუთითოთ მაქსიმე აღმსარებლის მისტიციზმზე, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული ფსევდოდიონისესთან“* – ამბობს შალვა ნუცუბიძე. წმ. მაქსიმე აღმსარებლის ბიოგრაფი წერს: *„გადმოითარგმნა ყოველივე ძუელისა და ახლისა წერილისაი... ყოველი განჰმარტა, აგრეთვე, ღრმანი იგი სიტყვანი დიონისოს არეოპაგელისანი“*. თვითონ რუსთველი ორჯერ იმოწმებს დიონისე არეოპაგელს: **„ამა საქმეს მემოწმების დიონოსი ბრძენი, ეზროს ...ამა საქმეს დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს: ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“.**

პლატონის, არისტოტელეს, დიონისე არეოპაგელის, შემდგომ ნეოპლატონიკოსებისა და სხვა ღვთისმეტყველთა იდეებზე აღზრდილი წმ. მაქსიმე აღმსარებელი აღიარებდა სიკეთეს ერთადერთ საწყისად და ბოროტებას სიკეთის ნაკლად: *„(კაცს) არარა კეთილი არა გვაქვს ისეთი, რომ ღვთისაგან არა გვქონდეს მიღებული“* – გვიქადაგებს იგი. „ვეფხისტყაოსანს“ თავიდან ბოლომდის ლაიტმოტივად გასდევს სიკეთის მარადიულობა და ბოროტების სიმოკლე:

„ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“
„ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“
– ეუბნება თინათინი მამას.
„ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელია“
– ამბობს თავად პოეტი.
„ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“
– ეს ნესტანის ხილვით გახარებული ფატმანის სიტყვებია.
„თქვეს: ბოროტსა უმყოფოო, კეთილია შენთვის მზანი!“
– ამას როსტევანის ყმები ამბობენ.

„აქ შეჯამებულია რუსთაველის მსოფლმხედველობის ყველა ელემენტი. სამყაროს წყობაში მთავარია სიკეთე, მაგრამ იგი გვეძლევა ბრძოლაში, რომელიც ბოროტების დამხობაში მდგომარეობს. კეთილი და ბოროტი ერთიანი მთლიანი ელემენტებია. ხოლო ვისაც ამ მთლიანობისათვის მიუღწევია საგანთა და მოვლენათა გაგებაში, იგი აღწევს სიკეთესაც, რომლის „არსებაც გრძელია“, მაშინ ყოველივე მთავრდება „ზეციური სასუფევლის დამკვიდრებით „აქ, ამქვეყნად“. ზეცისა და მიწის, როგორც ბედნიერებისა და ტანჯვის, თავისუფლების აუცილებლობის დაპირისპირებას რუსთაველი ამთავრებს „ზეციური სასუფევლის“ დამკვიდრებით ქვეყნად“ – წერს აკად. შალვა ნუცუბიძე. სწორედ ამ მთლიანობას წარმოადგენენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები და ამიტომაც აღწევენ გამარჯვებას. **„ღმერთმან ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წარწყმიდოს“** – ამბობს ტარიელი და ღვთიურ ფილოსოფიაში ღრმად განსწავლული პოემის გმირების ყოველი ქმედება განპირობებულია ღვთის რწმენით, რომელიც მომდინარეობს წმ. მაქსიმე აღმსარებლის მართლმადიდებლური მოძღვრებიდან. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ღმერთს შესთხოვენ, სწამთ მისი: **„უღმრთოდ ვერას ვერ მივაწევ, ცრემლი ცუდად მედინება“, „ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა...“, „ნუგეშის, ღმერთი უხვია...“, „რომე ღმერთმან გაგვახარნა, კურთხეულ არს მისი ღმრთება“, „ღმერთსა მიჰმადლე, შემინდევ, ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა“, „წადი, ღმერთი გიწინამძღვრებს“, „ღმერთსა უნდეს“, „ღმერთმა ქნას“, „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“, „ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნდეს, მოცაგხვდების“.**

დიდი ქართველი რუსთველოლოგი აკად. ალექსანდრე ბარამიძე წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი *„გარკვეულად ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევარია, თუმცა პირდაპირ არ ახსენებს ქრისტიანულ ძე ღმერთს, ღვთისმშობელს ან წმინდანებს“*. ჩვენ კი დავამატებთ: პოეტი ახსენებს ქრისტეს მოციქულებს, მონაფეებს: **„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ“** – მიმართავს ავთანდილი თავის ანდერძში როსტევან მეფეს. პოემის შესავალ ნაწილში ქრისტიანული სამების იგავური გამოხატვაა შემდეგი სტრიქონიც: **„მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირთ ერთმანეთის მონობა“** ან კიდევ: **„სამი არის მოყვრისაგან, მოყვარისა გამოჩენა, მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა“.**

ზვიად გამსახურდია თავის გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ ამბობს: *„შუასაუკუნეთა საქართველოში გაბატონებული ქრისტიანული იდეალები „ვეფხისტყაოსანში“ აისახა განუმეორებელი მხატვრული სიდიადით“.*

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები მიისწრაფიან ზეციური იერარქიისაკენ, მისტიკური სამყაროსაკენ, სადაც ყველაფერი მოწესრიგებულია. ავთანდილი ასე მიმართავს როსტევან მეფეს: **„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებას ფილოსოფოსთა ბრძნობისა, მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“. „მარტოობა ვერსა მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი“.** ტარიელი ევედრება ზენაარს: **„ზენაარ, დამხსენ სიცოცხლე“, „კმა ზენაარი ზენარად, არ ნაქმარია მთვრალისა“, „ყოველთა მისცეს ზენაარი“...**

„რუსთაველი ნათლად ხედავს, რომ ერთიანობა ანუ „შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“ არის ყოველივე ის, რაც სრული ბედნიერებისთვისაა საჭირო“ – ამბობს შალვა ნუცუბუძე. ჩვენ მიგვაჩნია „ზესთ მწყობრთა წყობის“ შერთვის მისტიციზმი, ანუ ღმერთადქცევის იდეა ათვისებულია არეოპაგიტიკიდან წმ. მაქსიმე აღმსარებლის მიერ, ხოლო რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ გრანდიოზულად წარმოგვიდგინა. რუსთაველი უმღერის კაცთმოყვარეობას, სიუხვეს, სიკეთეს, სიყვარულს, მეგობრობას, პატრიოტიზმს, მშვენიერებას. ეს ყველაფერი ღმერთიდან მომდინარეობს და ისევ ზეციისაკენ მიემართება და მაღლდება. პოემის გმირები რამდენადაც ხორციელნი არიან, იმდენად ზეცად ამაღლებულნი, მისტიკურნი.

„რუსთაველის შემოქმედებას სამი ძირითადი მსოფლმხედველობრივი მოტივი უდევს საფუძვლად: ცნება ღმერთისა – თეოლოგია, ცნება მშვენიერებისა – ესთეტიკა, ცნება ზნეობისა – ეთიკა“ – ამბობს ფილოსოფოსი მოსე გოგიბერიძე. ეს სამი ძირითადი მსოფლმხედველობრივი მოტივი მისტიკურ სამოსში წარმოდგენილია წმ. მაქსიმე აღმსარებლის შრომებში: *„მერმე კუალად სწავლანი სულიერნი, საღმრთოისა მოქალაქეობისაი და ყოვლისა საღმრთოებისათვის მრავალი აღწერა, და კეთილად განაწესა, თუ ვითარ ჯერ-არს მოქალაქეობაი ქრისტიანეთაი, და მრავალნი განმარტებანი წმინდათა წერილთა და სწავლანი მონაზონებისანი აღწერნა; და იყო იგი ახალი ოქროპირი, პირველისა მის ოქროპირისა მზგავსი“* – წერს მაქსიმე აღმსარებლის ბიოგრაფი.

ჩვენ გავეცანით, აგრეთვე, თბილისის სასულიერო აკადემიის მიერ, 2000 წელს გამოცემულ „წმ. იოანე დამასკელის „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემას (წყარო ცოდნისაი)“, რომელიც ძველი ბერძნულიდან თარგმნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ედიშერ ჭელიძემ. აქ არ შეუუდგებით ამ წიგნის განხილვას, მხოლოდ ვიტყვით, რომ წიგნის მე-20-24-ე თავებში წმინდანი ლაპარაკობს შვიდთა მნათობთა და სამყაროს ოთხი ელემენტის: მიწა, წყალი, ცეცხლი და ჰაერის შესახებ, რომელიც ყოველგვარი იგავური ახსნის გარეშე აქვს მოცემული შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“. ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილ წერილში წერს ტარიელს:

„ღმერთსა შემვედრე,
ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერსა თანა ძრომასა;
მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე,
მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ჰხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.“

ამრიგად, ორი დიდი მართლმადიდებელი წმინდანის, მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის, შრომების გაცნობამ, „ვეფხისტყაოსნის“ ხელახალმა წაკითხვამ, მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შოთა რუსთაველი კარგად იცნობდა მათ მოძღვრებას, აფასებდა და შემდეგ აყალიბებდა პოემაში.

სიბრძნით, ღვთიური მრწამსით არის გაბრწყინებული რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. როგორ, რა გზით შეიძლება ყველაფერი ეს მივიტანოთ მოსწავლეებამდე?

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისას თავიდანვე ვაძლევ ბავშვებს დავალებას: ამოიწერონ ის ციტატები, რომელშიც ნახსენებია ღმერთი და მასთან დაკავშირებული მოვლენები. ეს არ წარმოადგენს რაიმე სირთულეს, ამ დავალებას იოლად ასრულებენ. დროდადრო ვამოწმებ მათ მიერ მოძიებულ მასალას და ვაკეთებთ მცირე დასკვნებს, ხოლო პოემის დამთავრების შემდეგ ვატარებთ შემაჯამებელ გაკვეთილს, თუ საჭირო გახდება, – შემაჯამებელ გაკვეთილებსაც, რომ ამომწურავად განვიხილოთ ყველაფერი. გარდა ამისა, პოემის შესწავლის დროს, გზადაგზა, ვაცნობ წმინდანების – მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის – შრომებს.

ასე რომ, ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი მასალის რეალიზება პრაქტიკაში ადვილად მისაღწევია და, რაც მთავარია, ჩვენი მიზანი, რომ ტრადიციულ (სიყვარული, მეგობრობა, პატრიოტიზმი და სხვ.) საკითხებთან ერთად, სხვა კუთხითაც დავანახოთ ბავშვებს შოთა რუსთაველი და მისი პოემა, შესრულდება.

შორენა მამუკაშვილი
მარტყოფის №2 საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ. 1986წ. ნ. ნათაძის რედაქციით;
2. ირაკლი აბაშიძე, „პალესტინის დღიური“, თბ. 1961წ.;
3. წმ. მაქსიმე აღმსარებელი, „სწავლანი სულიერნი“, თბ. 2006წ. გვ. 35, 47, 58, 75, 79.;
4. ღირსი მაქსიმე აღმსარებლის წიგნიდან გამოკრებილი სიტყვები, თბ. 2002წ.;
5. იოანე დამასკელი, „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემა“, თბ. 2000წ.;
6. დიდი სჯულის კანონი, თბ.1975წ.;
7. შალვა ნუცუბიძე, შრომები, IV თბ. 1976წ. გვ. 339;
8. მოსე გოგიბერიძე, „რუსთველი, პეტრიწი, პრელუდიები“, თბ. 1961წ. გვ.61;
9. შალვა ამირანაშვილი, „შ. რუსთაველი“, საიუბილეო კრებული, თბ. 1966წ. გვ. 159
10. კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“;
11. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, თბ. 1992წ. გვ.7.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

საკუთარ თავს ოცნებები შენ თვითონ უნდა აუხდინო

რუბრიკის სტუმარია მაია ინგოროყვა, იენის უნივერსიტეტის სტუდენტი

– მაია, როგორ გახსენდება მოსწავლეობის პერიოდი, შენი მასწავლებლები... განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– დაწყებითი განათლება ოზურგეთის რაიონში, სოფელ მაკვანეთში, ჩემი სოფლის სკოლაში მივიღე. მე-6 კლასიდან სწავლა თბილისში განვაგრძე, რადგან ოჯახი სოფლიდან ქალაქში გადმოვიდა საცხოვრებლად. თბილისში, ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში ვსწავლობდი. გულწრფელად რომ ვთქვა, სკოლაში სანიმუშო მოსწავლე არ ვყოფილვარ. ძირითადად, იმ საგნებს ვსწავლობდი, რომელიც მაინტერესებდა. მაშინაც ვფიქრობდი და დღესაც ვფიქრობ, რომ საგნებისადმი ინტერესის გაღვივებაში მნიშვნელოვანი როლი მასწავლებელს აკისრია. მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეს საფიქრალი აღუძრას და დაეხმაროს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი სამყაროს უკეთ გაცნობაში. ასევე გულწრფელად რომ ვთქვა, სკოლის ან რომელიმე მასწავლებლის გავლენით არ ამირჩევია ჩემი მომავალი პროფესია. ჩემს არჩევანზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ფონდმა „თბილისის მოზარდთა სახლი“ და პედაგოგმა **თათა სახელაშვილმა**. ეს იყო ადგილი, სადაც ჩემთვის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი პერიოდი გავატარე და ვაკეთებდი იმას, რაც მაინტერესებდა. იქ დავინტერესდი ჟუნალისტიკითაც. დღემდე ვთვლი, რომ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და საპასუხისმგებლო პროფესიაა და თუ ოდესმე საშუალება მომეცემა, აუცილებლად ვიმუშავებ ამ სფეროში.

– სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრძელებ, შემდეგ ილიას უნივერსიტეტში. რა შეგიძლია გვიამბო ქართული უმაღლესი განათლების შესახებ, რა პროფესიას დაეუფლე და რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი?

– სკოლის შემდეგ სწავლა გავაგრძელე ილიას უნივერსიტეტში, უფრო სწორად ეს იყო სასწავლო სატელევიზიო ცენტრი, რომელიც ილიას უნივერსიტეტს შეუერთდა და დღემდე არსებობს, ხელმძღვანელობს ძალიან კარგი ადამიანი – **ზურაბ ოშხნელი.** მიხარია, რომ იქ მოვხვდი. ჩვენ გვქონდა საშუალება ჟურნალისტიკა არა მარტო თეორიულად გვესწავლა, არამედ პრაქტიკაში გამოგვეყენებინა, რისი საშუალებაც, სამწუხაროდ, ხშირად სტუდენტებს არ აქვთ. გარდა ამისა, ეს იყო პროფესია, რომელიც მაინტერესებდა და მომწონდა და მაქსიმალურად ვცდილობდი, ყველაფერი მესწავლა და ვბეჯითობდი. რომ არა გერმანიაში წასვლის გადაწყვეტილება, აუცილებლად ვიქნებოდი ამ პროფესიაში. შექმნის და ძიების პროცესი ძალიან მომწონს, ვიდრე ის, რაც ზედაპირზე დევს, დეტალების ძიება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ამ პროფესიასაც ძალიან სჭირდება.

გერმანიაში ექვსი წლის ცხოვრების შემდეგ, ორი სემესტრის ხანგრძლივობით, დავბრუნდი თბილისში, ამჟამად, გაცვლითი პროექტის ფარგლებში, ვარ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ მდგომარეობა უნივერსიტეტში იმაზე მძიმე დამხვდა, ვიდრე ველოდი. მით უფრო, თუ გერმანიის უნივერსიტეტებს შევადარებთ. საქართველოს უნივერსიტეტებს კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი, მათ შორის, პროფესორ-მასწავლებლებსაც, რომ სწავლების ინოვაციურ და XXI საუკუნის მოთხოვნებს მიჰყვნენ. ცხადია, საინტერესო პროფესორ-მასწავლებლებს აქაც შევხვდი, რაც ძალიან მახარებს. უნდა ვაღიარო, რომ ზოგიერთი მასწავლებელი მოვალეობის მიზნით უფრო მოდიოდა ლექციაზე, ვიდრე სიყვარულით. გერმანიაში, კერძოდ, იენის უნივერსიტეტში, ხშირად შემხვედრია საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ლექციებს პრეზენტაციებით ატარებენ და ახსნის დროს გადაშლილი წიგნი არ უდევთ წინ.

– მაია, განათლების მიღება საზღვარგარეთ ქართველი ახალგაზრდებისთვის სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. მიამბე, რა გზა გაიარე საქართველოდან გერმანიამდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი?

– კონკრეტული მიზეზი, თუ რატომ გერმანია და იქ სწავლა, სიმართლე გითხრათ, არ მქონია. თუმცა, ჩემი მიზანი ყოველთვის გერმანია იყო. ალბათ იმიტომ, რომ სკოლაში გერმანულ ენას ვწავლობდი და სხვადასხვა პროგრამების საშუალებით იქ მოხვედრა შედარებით იოლი იყო. ყველას თავისი გზა აქვს, რომელსაც ზოგი მარტივად გადის, ზოგი რთულად. თუმცა, გერმანიაში მყოფ სტუდენტებს, ძირითადად, ერთნაირი ისტორიები გვაქვს. უნივერსიტეტში მოხვედრა არც ისე მარტივია. პირველ რიგში, საჭიროა ენის კარგად ფლობა და სერტიფიკატის აღება. უნდა იარო ენის კურსებზე, რაც საკმაოდ ძვირია. როცა ოჯახიდან დახმარებას ვერ იღებ, სწავლის პარალელურად, მუშაობა გიწევს, რაც საკმაოდ დიდ შრომას და ენერგიას მოითხოვს.

– უცხოეთში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებაში რეგისტრაციის შედეგად, უცხოელ სტუდენტებს, სწავლის პირველივე წლიდან უფლება აქვთ იმუშაონ ნახევარ განაკვეთზე, გაქვს თუ არა მუშაობის შესაძლებლობა სწავლის პარალელურად?

– დიახ, გერმანიაში სტუდენტებს გვაქვს უფლება, წელიწადში 120 სრული დღე ან 240 ნახევარი დღე, ვიმუშაოთ. იქიდან გამომდინარე, რომ ფინანსურად თავად უზრუნველვყოფ საკუთარ თავს და არავისზე არ ვარ დამოკიდებული, მიწევს მუშაობაც. სწავლის პარალელურად მუშაობა მარტივი ნამდვილად არ არის, თუმცა სხვანაირად ცხოვრება შეუძლებელია. სამწუხაროდ, ბევრი ვეღარ უძლებს ასეთ დატვირთვას და სწავლას წყვეტს. მეც ბევრი დაბრკოლების გადალახვა მომიწია, სანამ უნივერსიტეტში მოვხვდებოდი, თუმცა ჩემ გარშემო ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებიც მხარში მედგნენ და მეხმარებოდნენ სირთულეების გადალახვაში. უცხოეთში, სწავლის პარარელურად, ბევრი ქართველი სტუდენტი მუშაობს, ასე რომ ამაზე წუწუნი ჩემი მხრიდან უხერხულია. მეც ბევრჯერ მქონია რთული პერიოდი და მიფიქრია სწავლისთვის თავის დანებება, მაგრამ ასე ხომ მთელი ჩემი შრომა წყალში უნდა ჩამეყარა. ამიტომ არასდროს შემიწყვეტია ბრძოლა. ყოველთვის საკუთარ თავს ვამხნევებ, რაც ძალიან მეხმარება.

– გვიამბე იენის უნივერსიტეტის შესახებ, რა წესით გამოიყოფა სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის, რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები?

– იენის უნივერსიტეტი 1558 წელს დაარსდა და სიძველით, რიგით მეორე უნივერსიტეტია გერმანიაში. აქვს სასწავლო კურსების ძალიან ფართო არჩევანი და ჰყავს 20000-მდე სტუდენტი. მე ვსწავლობ პოლიტიკური მეცნიერებების და კავკასიოლოგიის ფაკულტეტზე. იენის უნივერსიტეტი, დიდი ხანია, დამეგობრებულია საქართველოსთან, კავკასიოლოგიის ფაკულტეტს ძალიან უფრთხილდებიან. სტუდენტების სიმცირის გამო იყო დახურვის საფრთხე, მაგრამ ჯერჯერობით დატოვეს და ძალიან მიხარია. ბიბლიოთეკაშიც ძალიან ბევრი ქართულენოვანი წიგნია და იმ განყოფილებაში შესვლა განსაკუთრებით მახარებს ხოლმე. მეოთხე სემესტრი დავხურე, სანამ საქართველოში წამოვიდოდი, Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, ამჟამად აკადემიური სემესტრი მაქვს – გარკვეულ საგნებს ჯავახიშვილის უნივერსიტეტში გავდივარ. ზოგადად, უნივერსიტეტი და პროფესორები თითოეულ სტუდენტს ეხმარებიან. განსაკუთრებით კარგი დამოკიდებულება აქვთ უცხოელი სტუდენტების მიმართ. გერმანული რთული ენაა და ის საგნები, რასაც მე გავდივარ, მოითხოვს დიდი რაოდენობით ლიტერატურის კითხვას, გააზრებას და, სემესტრის ბოლოს, რეფერატების წერას, რაც ზოგჯერ თავად გერმანელებსაც კი უჭირთ. იქ ყველა სტუდენტს ეხმარებიან ფინანსურად და უდგანან მხარში, რომ ხარისხიანი განათლება მიიღოს.

– იენის უნივერსიტეტში, თავის დროზე, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა. ვინ არიან ისინი და რა იცი მათ შესახებ?

– იენის უნივერსიტეტს ბევრი ცნობილი გერმანელი საზოგადო მოღვაწის სახელი უკავშირდება, მათ შორის, გოეთე, 1789 წლიდან უნივერსიტეტის პროფესორი იყო; ცნობილი გერმანელი პოეტი ფრიდრიხ შილერი, რომლის სახელსაც ატარებს უნივერსიტეტი. მე-19 საუკუნეში იდეალისტური ფილოსოფიის ცენტრად აქციეს იენა ჰეგელმა და შელინგმა. ასევე, იენის უნივერსიტეტში, სხვადასხვა დროს, სწავლობდნენ: კარლ მარქსი, ოტტო შოტი, ერნსტ აბბე, არტურ შოპენჰაუერი, კარლ ცაისი, ნოვალისი, ჰაინრიხ ვებერი, პეტერ ბოლერი, ვილჰელმ ჰუმბოლდტი და სხვები.

– რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ, როგორი დამოკიდებულებაა ლექტორსა და სტუდენტებს შორის, მინდა ერთგვარი შედარება გავაკეთოთ ქართულ ურთიერთობებთან

– რაც შეეხება პროფესორებს, თავიანთი რეგალიების მიუხედავად, არიან ძალიან მეგობრულები, უშუალოები და მაქსიმალურად ცდილობენ, დაგაინტერესონ თავიანთი საგნით. ყოველთვის მზად არიან დაგეხმარონ. „ზემოდან ყურების“ მომენტს ვერ იგრძნობ მათგან, პირიქით, სულ გეუბნებიან, რომ კითხვის დასმა არ უნდა მოგერიდოს, არც იმის შიში გქონდეს, რომ რამეს არასწორად იტყვი და ვინმე ამის გამო დაგცინებს. მე მქონდა შემთხვევა, არდადეგების პერიოდში შვებულებაში მყოფი ჩემი ერთ-ერთი პროფესორი სკაიპის საშუალებით მიხსნიდა როგორ შემესრულებინა დავალება. ხშირად იწვევენ ლექტორებს, რომლებიც ერთი სემესტრი რჩებიან ან მთელი კვირის მანძილზე გადაბმულად კითხულობენ ლექციებს, ზოგი ერთი დღით ჩამოდის. საშობაოდ ფაკულტეტის სტუდენტები და ლექტორები ერთად იკრიბებიან მეგობრულ გარემოში, მიირთმევენ ტრადიციულ გერმანულ თბილ ღვინოს და საშობაო ნამცხვარს. ამ დროს პროფესორები კიდევ უფრო უშუალოები არიან, ზოგი საშობაო ზღაპრებს გვიკითხავს, ზოგი გვიმღერის და ა.შ. იენის უნივერსიტეტში კიდევ ერთი ტრადიციაა, ლექციის თუ სემინარის ბოლოს, სტუდენტიც და პროფესორიც მაგიდაზე აკაკუნებენ, ამით მადლობას უხდიან ერთმანეთს დასწრებისთვის.

ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მხოლოდ ორი სემესტრით ვარ და ამიტომ ბევრ ლექტორთან ურთიერთობა არ მიწევს. რამდენიმე ლექტორი მომეწონა განსაკუთრებით, მათი ლექციის მოსმენა და მათთან ურთიერთობა სასიამოვნო იყო. თუმცა, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ ლექციებზე პრეზენტაციებით ლექტორების ძალიან მცირე რაოდენობა მოდის. არადა, პრეზენტაციები ძალიან ეხმარება სტუდენტს მასალის დამუშავებაში, რადგან ახსნის დროს შეიძლება რაღაცის ჩაწერა ვერ მოასწრო ან გამოგრჩეს.

ასევე ძალიან უცნაურია უნივერსიტეტში ყოველი ლექციის თუ სემინარის დაწყების წინ სიის ამოკითხვა. მესმის, რომ ამაში შესაბამისი ქულა იწერება და ერთგვარი კონტროლის მეთოდია, მაგრამ საკმაოდ დიდი დრო მიაქვს, განსაკუთრებით თუ აუდიტორია მრავალრიცხოვანია. დასწრების დაფიქსირება სხვა უფრო მარტივი მეთოდებითაც შეიძლება. ჩემი აზრით, ეს ლექტორსა და სტუდენტს შორის ნდობის ფაქტორის ნაკლებობაზე მიუთითებს.

– რა როლი უჭირავს გერმანიაში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– საქართველოში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების თემა ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია. გერმანიაში ბიბლიოთეკა სტუდენტისთვის, ფაქტობრივად, მეორე სახლია. სახლში მხოლოდ დასაძინებლად მიდიხარ. დანარჩენ დროს ბიბლიოთეკაში ატარებ. შესაბამისად, იქ ბიბლიოთეკები აბსოლუტურად სტუდენტებზეა მორგებული. იქ უფრო მეტი საჭირო წიგნია, უფრო მოწესრიგებულია ონლაინ სისტემა, რადგან მათ აქვთ საშუალება იყიდონ ახალი გამოცემები ან თარგმნონ, რისი საშუალებაც, სამწუხაროდ, საქართველოს უნივერსიტეტებს არ აქვთ. შესაბამისად, აქ როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოურენოვანი წიგნების სიმცირეა. ყველაზე არასასიამოვნო მომენტი ჩემთვის მაინც „ჩაკეტილი წიგნებია“, არ შეგიძლია თაროებს შორის თავისუფლად იარო და აირჩიო ლიტერატურა. აქ უნდა მოითხოვო კონკრეტული წიგნი, თუ მომსახურე პერსონალს არ დაეზარა, მოგიტანს თუ არადა, მიგითითებს სად დევს და თვითონ აიღებ. არადა, როცა წიგნებთან გაქვს ურთიერთობა, როცა თაროებზე შენ თვითონ ეძებ, ამ დროს შეიძლება ისეთი რაღაცები აღმოაჩინო და ისეთ თემაზე დაფიქრდე, რაც მანამდე თავში აზრადაც არ მოგივიდოდა. აქ წიგნებს სახლშიც არ გატანენ, მხოლოდ ბიბლიოთეკაში შეგიძლია კითხვა.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით?

– ევროპის მოწინავე უნივერსიტეტების და ქართული უნივერსიტეტების შედარება არასწორი იქნება, რადგან ისინი, ჩვენგან განსხვავებით, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ფაქტორებით ბევრად წინ არიან. მათ, ჩვენგან განსხვავებით, უფრო მეტი რესურსი აქვთ იმისთვის, რომ იყვნენ წარმატებულები. ჩვენი ქვეყანა მუდმივად ფეხზე წამოდგომის პროცესშია. იმისთვის, რომ წელში გავიმართოთ, გვჭირდება სწორი განათლების პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უნივერსიტეტები ვერ აკმაყოფილებენ იმ დონეს, რომელიც აქვთ ევროპის არა მარტო წარმატებულ, არამედ რიგით უნივერსიტეტებს, საქართველოში სწავლის გადასახადი ბევრად ძვირია.

შენობები უნდა მოწესრიგდეს, ბიბლიოთეკებმა უფრო მეტი წიგნი უნდა შეიძინონ, სტატიები და წიგნები უნდა ითარგმნოს, პრაქტიკული მეცადინეობისთვის ლაბორატორიები უნდა ჰქონდეთ. არ შეიძლება ერთ საგანს მთელი სემესტრის განმავლობაში კონკრეტული ავტორის ერთი წიგნით გადიოდე. თუმცა, ამის მოთხოვნა თვითონ სტუდენტებს უნდა გაუჩნდეთ.

– როგორც ვიცი, 2016 წლიდან, გერმანიაში, იენის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა დააარსეთ გაერთიანება, კერძოდ რა საქმიანობას ეწევით და რა არის ამ გაერთიანების მიზანი?

– იქიდან გამომდინარე, რომ იენის უნივერსიტეტი საქართველოსთან დამეგობრებულია, უკვე მრავალი წელია, იენაში ბევრი ქართველი სტუდენტია, რომელიც სრულად იქ ირიცხება ან სხვადასხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩამოდის. 2016 წელს დაარსდა სტუდენტური გაერთიანება „ლილეო“, რომლის მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მეტ ადამიანს გავაცნოთ საქართველო. ორი სემესტრის განმავლობაში, უნივერსიტეტის პროგრამის ფარგლებში, ტარდებოდა ქართული ცეკვის გაკვეთილები, რომელსაც ძირითადად უცხოელი სტუდენტები ესწრებოდნენ. ჩვენ, იქ მყოფი სტუდენტები, ჩვენი ქვეყნის ელჩები ვართ და ვის როგორ შეუძლია ისე ვაცნობთ საქართველოს უცხოელ მეგობრებს.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? როგორ გესახება მომავალი, სად აპირებ დამკვიდრებას? მიამბე, როგორ ცხოვრობენ გერმანელი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული, რომელი დარგია ყველაზე მეტად პოპულარული?

– სემესტრის განმავლობაში, როცა სალექციო პერიოდია, გამოცდები და თან ვმუშაობ, თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მრჩება, ძირითადად, ვცდილობ, მეგობრებთან ერთად გავატარო. არდადეგებზე კი, ვმოგზაურობ. სტუდენტების ცხოვრება ასეთია, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – უნივერსიტეტი-ბიბლიოთეკა, პარასკევს საღამოს ან შაბათს შეგიძლია თავს უფლება მისცე და გაერთო. გერმანიაში, უნივერსიტეტების გარდა, ძალიან განვითარებულია პროფესიული განათლების სკოლები. იქ თან სწავლობ, თან მუშაობ და შემოსავალი გაქვს. სახელისა და პოპულარობის მიხედვით პროფესიას არ ირჩევენ, იქ ფიქრობენ იმაზე, რამდენად გამოიყენებენ პრაქტიკაში. მედიცინა, ეკონომიკა, იურისპრუდენცია, პედაგოგიკა, ასევე, ტექნიკური და საბუნებისმეტყველო სფეროები, ძალიან პოპულარულია გერმანიაში.

რაც შეეხება კითხვას, სად ვაპირებ მომავალში დამკვიდრებას, ამაზე კონკრეტული პასუხი არ მაქვს. ზოგადად, ჩემი გეგმები ხშირად იცვლება, ძალიან სპონტანურად შევიტანე სტიპენდიაზე განაცხადი და სპონტანურად მივიღე საქართველოში წამოსვლის გადაწყვეტილება, რაც ბევრისთვის გაუგებარი იყო. ასევე არ ვიცი რას ვიზამ, როცა იენაში დავბრუნდები. ამ ეტაპზე, ჩემთვის მთავარი საზრუნავი უნივერსიტეტის დამთავრებაა. მერე რა იქნება, არ ვიცი. ზოგადად რა მინდა, ვიცი, მაგრამ ხშირად ისე არ არის, როგორც გვინდა.

– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– ვერ გეტყვით, ამ შემთხვევაში, დამსაქმებელს გააჩნია, თუ მას უნდა, რომ ჰყავდეს მაღალკვალიფიციური კადრი, ალბათ, ითამაშებს. ჩემთვის საზღვარგარეთ მიღებული უმაღლესი განათლება საქართველოში დასაქმების გარანტი, სამწუხაროდ, არ არის.

– რას ურჩევ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ.

– პირველ რიგში, საჭიროა სურვილი, მონდომება და საკუთარი თავის რწმენა, რომ შენ ეს შეგიძლია. თუ ერთხელ მაინც შეგეპარება საკუთარ თავში ეჭვი, ვერასდროს ვერაფერს მიაღწევ. არ უნდა დაელოდო, რომ ვინმე ხელს გამოგიწვდის და ცხოვრებას გაგიმარტივებს. ვერც უცხო ენას ისწავლიან შენ მაგივრად, ვერც გამოცდებს ჩაგიბარებენ და ვერც იმუშავებენ. საკუთარ თავს ოცნებებიც შენ თვითონ უნდა აუხდინო და ცხოვრებაც შენ თვითონ უნდა გაუმარტივო.

– როცა საქართველოდან ასე შორს ხარ, რა გენატრება ყველაზე მეტად?

– მენატრება ის, რაც ყველაზე ძვირფასია – ოჯახის წევრები და მეგობრები. ექვს წელზე მეტია გერმანიაში ვცხოვრობ. ის პერიოდი, როცა პიროვნებად ყალიბდები, გიყალიბდება შეხედულებები და მსოფლმხედველობა, გერმანიაში გავიარე. ვერც საქართველოში ჩამოვდიოდი ხშირად. კონტაქტის შემცირებამ რაღაც დოზით გაუცხოებაც გამოიწვია. როცა დრო გადის, ხვდები როგორი ძვირფასია ეს ადამიანები შენთვის და გენანება მათ გარეშე გატარებული ყოველი წუთი.

– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ალბათ მეტს ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული, რაც ევროპამ მოგცა?

– როცა შორს ხარ, სხვა ფასი ედება სამშობლოს, როცა გერმანიაში ცხოვრობ, ქვეყანაში, რომელიც თავისი მოწესრიგებულობით ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში, უფრო მეტად გიჩნდება სურვილი, ასეთი იყოს შენი სამშობლოც. ევროპამ რომ კარი გაგვიღო, ამის მაგალითი ვიზალიბერალიზაციაა. მართალია, გერმანიაში მყოფ სტუდენტებს მაინც გვჭირდება იქ ცხოვრების უფლება და სხვა საბუთით გადავადგილდებით, მაგრამ აპრილში ქუთაისიდან რომ გავფრინდი ბერლინში, ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა ვხედავდი როგორ უპრობლემოდ ატარებდნენ მესაზღვრეები საქართველოს მოქალაქეებს და ეუბნებოდენ – მობრძანდით. ახლა უკვე ჩვენზეა, როგორ ვუპასუხებთ ამ ნდობას. ჩემი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში, დიდი როლი ითამაშა გერმანიაში ცხოვრებამ. ღირებულებების გადაფასება დროთა განმავლობაში მოხდა. კარგია, როცა ქვეყნიდან გასვლის საშუალება გეძლევა, მერე შეგიძლია რაღაცები ერთმანეთს შეადარო და უფრო მიხვდე რა მოგწონს და რა არა, რა უფრო ღირებულია და რა არა. შეიძლება ადრე რაც ძვირფასად მიგაჩნდა, ფასი დაკარგოს, სხვა თვალით შეხედო. ევროპაში ცხოვრებამ მსოფლიო აღმომაჩენინა, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ადამიანებისგან, რომლებთანაც ყოველდღიურად გიწევს ურთიერთობა, ძალიან ბევრს სწავლობ. სწორედ მათთან ურთიერთობამ მასწავლა, რომ ოცნებების ახდენა არც ისე რთული ყოფილა, ვნახე ქალაქები და ქვეყნები, მხოლოდ ფოტოებიდან რომ ვიცოდი და ვერც კი წარმომედგინა, თუ ერთ დღეს, იქ მეც მოვხვდებოდი. ყოველთვის მინდოდა ვყოფილიყავი თავისუფალი და დამოუკიდებელი, დღესაც ყველაფერს ვაკეთებ ამისთვის.

ესაუბრა მაკა ყიფშიანი

კონფერენცია

სამოქალაქო განათლება მომავალზე ზრუნვისთვის

მარინე დემეტრაშვილი

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა წლიური, რიგით მე-7 კონფერენცია-გამოფენა, 2017 წლის 13 მაისს, ექსპო ჯორჯიას პავილიონში გაიმართა.

კონფერენცია გახსნა სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობის“ დირექტორმა, **მარინა უშვერიძემ**. მან აღნიშნა, რომ 2010-2014 წლებში პროგრამაში ჩართული იყო 740 სკოლა, საქართველოს მასშტაბით; 2014-2017 წლებში კი პროგრამამ 480 სკოლა მოიცვა, ჩატარდა ტრენინგები მასწავლებლებისთვის – „დემოკრატიული მოქალაქის სწავლება“; პედაგოგებს 11000 სასწავლო რესურსი გადაეცათ, პროექტში 125000-მა უფროსკლასელმა მიიღო მონაწილეობა. 7 წლის განმავლობაში 751 პროექტი დაფინანსდა, რასაც 391000$ მოხმარდა. სულ პროექტით მოსარგებლე ადამიანების რიცხვმა 338000 შეადგინა.

ეწვიეთ საიტს Initiatives.ge, რათა უკეთ გაეცნოთ პროექტის მიმდინარეობას და შედეგებს. 350 სკოლა და 50 პედაგოგი ტექნიკით დაჯილდოვდა; 100-ზე მეტმა მასწავლებელმა შექმნა ბლოგი, რაც კარგი საშუალებაა ერთმანეთისთვის გამოცდილების გასაზიარებლად.

ფორუმი აერთიანებს 1000-ზე მეტ პედაგოგს. 1500-მა მასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო სამოდელო გაკვეთილებში, მასტერ-კლასებში, პროფესიული გაზიარების ჯგუფებში. რაც უჭირს პედაგოგს, გაუზიაროს კოლეგებს და ითხოვოს მათგან დახმარება – ეს არის დიდი ცვლილება პედაგოგების დამოკიდებულებაში ერთმანეთის მიმართ, რაც, უდავოდ, ამ პროგრამის დამსახურებაა. 2014 წელს 700-ზე მეტი დირექტორი გადამზადდა. შედეგები:

1. მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება გაზრდილია 27%-ით;
2. დამოუკიდებლად მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო ინიციატივის დაწყება გაზრდილია 32%-ით.

პროგრამა დამთავრდა, მაგრამ დიდი იმედი გვაქვს სახელმწიფოს მხარდაჭერის, აღნიშნული საქმის გაგრძელების კუთხით, რადგან ყველას კარგად გვესმის, რომ სამოქალაქო განათლებას თუ ასწავლი მაღალ დონეზე, ე.ი. აუცილებლად ზრუნავ შენი ქვეყნის მომავალზე.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა და პროგრამის მუშაობა დადებითად შეაფასა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ**. მოწვეულ სტუმრებს შორის იყო აგრეთვე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი **გიორგი მაჩაბელი**. მან განაცხადა, რომ კურსი აღებულია მაქსიმალურად განვითარებადი გარემოს შესაქმნელად მასწავლებლებისთვის, მათი პროფესიული განვითარებისთვის. 13 მაისს განათლების სამინისტროში ხელი მოეწერა მემორანდუმს საუკეთესო მასწავლებლის პრიზის დაწესების შესახებ. საქართველო გახდა საერთაშორისო ქსელის წევრი, რომლის ფარგლებშიც, დაწესდა ეს პრიზი და გამარჯვებული მსოფლიო ფორუმზე წარდგება. საუკეთესო მასწავლებელი გამოვლინდება 5 ოქტომბერს, მასწავლებლის დღეს, რაც გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში.

მემორანდუმს ხელი მოაწერა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, **ლია გიგაურმა**, მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელმა, **გიორგი მაჩაბელმა** და კოალიცია „განათლება ყველასათვის“ დირექტორმა, **ირინა ხანთაძემ.**

მასწავლებელთა ეროვნული ჯილდოს დაწესების შესახებ ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართება მაისის ბოლოს, თბილისში, შემდეგ – რეგიონებშიც. ამ პროცესს ჰყავს მხარდამჭერები კერძო სექტორიდანაც. რომელთა ვინაობაც ჯერჯერობით არ სახელდება. საპრიზო ფონდი 10000 ლარია. პროცედურის მიხედვით, სექტემბრის ბოლოსთვის, პირველ ეტაპზე, 5 ფინალისტი გამოვლინდება, ხოლო 5 ოქტომბერს, პირდაპირ ეთერში – 1 გამარჯვებული. გლობალურ კონკურსში მონაწილეობის უფლება, გარდა გამარჯვებული პედაგოგისა, არც სხვა მასწავლებლებს ეზღუდებათ. იქ უკვე გამარჯვებული მასწავლებლის პრიზი მილიონი დოლარია.

ეს ინიციატივა საზოგადოებაში პედაგოგის პროფესიის პრესტიჟის ზრდას ემსახურება. ამიტომაც ჩაერთვება მასში მედია საშუალებები, რომ კამპანია მოცულობითი იყოს.

სამოქალაქო განათლების სწავლების მიმართულებით, ცვლილებების შესახებ ისაუბრა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების კოორდინატორმა, **ნიკოლოზ სილაგაძემ**.

საბაზო საფეხურზე სამოქალაქო განათლების სწავლა დაიწყება არა მე-9 კლასიდან, არამედ მე-7-დან და საგნის სწავლება იქნება სავალდებულო. ასევე, საათების რაოდენობა გაიზრდება მე-3 საფეხურზეც. რაც შეეხება საგანს „მე და საზოგადოება“, მისი შესწავლა, მომავალი წლიდან, მე-3 კლასიდან დაიწყება. საგნის სწავლების მთავარი მიღწევა – პროექტების კეთებით სწავლა ფორმალურ განათლებაში გადმოინაცვლებს, როგორც სავალდებულო ელემენტი. 30% კურიკულუმში კლუბურ მუშაობას დაეთმობა. ესგ მიდის დეცენტრალიზაციის გზით. არ შეიძლება არსებობდეს ერთი კურიკულუმი და ის ყველაფერს მოარგო. პედაგოგმა თვითონ უნდა მოარგოს თავისი პრაქტიკა კურიკულუმს.

ეს არის საგანი, რომელიც სკოლებში ან ძალიან კარგად ისწავლება, ან არ ისწავლება საერთოდ და ეს არის საგანი, რომელის სწავლებას მარტო საკლასო ოთახში ვერ განახორციელებ.

კონფერენცია

გთავაზობთ თბილისის №128 საჯარო სკოლაში ჩატარებული კონფერენციის „პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები“ ორ მოხსენებას:

ინტერნეტრესურსებით სწავლება დაწყებით საფეხურზე

ცნობილია, რომ ქართველ მოსწავლეებს შეუძლიათ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება, რაც უკავშირდება მოსწავლეებში 21- ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებას.

ინტერნეტრესურსებით სწავლება კი არის ცოდნის მიღების ახალი მეთოდი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს, *უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადოს სწავლისა და სწავლების პროცესი. გაკვეთილის გახალისება ხდება ვიდეოგაკვეთილებით, ელექტრონული წიგნებით, სლაიდშოუებით, მინი-სპექტაკლებითა და სხვადასხვა სავარჯიშოებით. მაღალია მოსწავლეების მოტივაცია სასწავლო პროცესის მიმართ, უმუშავდებათ დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები და ცოდნის შეძენა-განვითარება თამაშითაა შესაძლებელი. აღნიშნული მეთოდიკა საშუალებას აძლევს მშობელს, დაეხმაროს შვილს მეცადინეობისას, დისტანციურად გააკონტროლოს სწავლის პროცესი, გააანალიზოს ბავშვის მიერ დაშვებული შეცდომები და დააკვირდეს მის პროგრესს.*

დაწყებითი კლასის მოსწავლეებზე დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ მათ შეუძლიათ ვიზუალურად წარმოადგინონ წაკითხული, მოსმენილი ტექსტით აღძრული შთაბეჭდილებები, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, უჭირთ ტექსტის სტრუქტურის აღქმა, დამოკიდებულების გამოხატვა, ტექსტის გააზრება, არ აქვთ თვითგამოხატვისათვის აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევები. მივხვდი, რომ პრობლემას წარმოადგენდა მოსწავლეთათვის სასწავლო მასალის მიწოდების ფორმა და დავიწყე ამ კუთხით სხვადასხვა ინტერნეტრესურსის მოძიება და დამუშავება.

ჩემი მთავარი მიზანი გახდა: ციფრული წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, პირველ რიგში, მოვაწესრიგე ისეთი ტექნოლოგიები, როგორებიცაა:

- პორტატული კომპიუტერი, ბუკი;
- კომპიუტერული პროგრამა;
- პროექტორი;
- თეთრი დაფა;
- ციფრული კამერა;
- მობილური და უკაბელო საშუალებები, როგორიცაა მობილური ტელეფონი;
- ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები, – ელექტრონული ფოსტა და ა.შ.

საგნის სტანდარტზე გასასვლელად, მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლებისათვის, ვქმნი მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს მოსწავლეთა მონაწილეობით, მათივე საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

რესურსების შესაქმნელად ვიყენებ შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს: movie maker და power point.

გაკვეთილებზე კი, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ჩემ მიერ შექმნილ რესურსებთან ერთად, მიზნობრივად ვიყენებ უკვე მზა კომპიუტერულ მასალებს, როგორებიცაა: სასწავლო პროგრამები, კომპიუტერული ტრენაჟორები, გამოცანები, კომპიუტერული თამაშები, ბარათები, სამუშაო სქემები, მაგიდები, ბეჭდური ილუსტრაციები, ტესტები (ღია, დახურული), კროსვორდები.

მიმაჩნია, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, ნებისმიერი აქტივობა შეიცავდეს თამაშის ელემენტებს, ამიტომ გაკვეთილებზე ხშირად შემომყავს ვირტუალური, წარმოსახვითი მეგობარი, რომელსაც სხვადასხვა სიურპრიზი აქვს ბავშვებისათვის მომზადებული. მაგალითად, საახალწლოდ გვესტუმრა თოვლის ბაბუა, რომელმაც საინტერესო ამოცანები მოგვიტანა ამოსახსნელად. რა თქმა უნდა ამოცანის ტექსტს თავად კითხულობდნენ ეკრანზე, სწორი პასუხის შემთხვევაში კი, თოვლის ბაბუა ფიფქებით და სიყვარულით (გულებით) აჯილდოებდა მათ. ასევე საინტერესო ისტორიებით გვსტუმრობდნენ: ბურატინო, წითელქუდა, ექიმი აიბოლიტი – აფრიკიდან და ა.შ. ნებისმიერ ვიზიტს გაკვეთილის თემასთან შესაბამისი მიზანი აქვს. სიურპრიზები კი, ძირითადად, არის ამბები, ამოცანები, სავარჯიშოები, გამოცანები, ზღაპრები, რომელსაც მე თვითონ ვწერ და მოსწავლეები პირველად ისმენენ. მაქსიმალურად ვცდილობ, გაკვეთილი მინი-სპექტაკლად ვაქციო, რათა სწავლის პროცესი უფრო სახალისო და საინტერესო გახდეს.

ვიყენებ ინტერნეტრესურსებს არასაგაკვეთილო დროს, რათა მქონდეს უწყვეტი კავშირი, როგორც მოსწავლესთან, ასევე მშობელთან.

http://www.edmodo.com,
http://www.skoool.ge,
http://www.buki.ge,
http://.calameo.com/,
https://www.pizap.com/,
https://ka.khanacademy.org/,
https:// kargiskola.ge, code.org/,
www.facebook.com

მშობლებთან უწყვეტი კავშირისათვის შევქმენი ჯგუფი სოციალურ ქსელში, დავარეგისტრირე ისინი საგანმანათლებლო ვებგვერდებზე, ვხვდები მათ ინდივიდუალურად და საჭიროებისამებრ ვასწავლი ელექტრონული რესურსების გამოყენებას.

მშობლები აქტიურობენ, თავად მთავაზობენ საინტერესო იდეებს, მესაუბრებიან საკუთარი შვილების შესახებ. ვუგზავნი მათ ჩემ მიერ შექმნილ საგანმანათლებლო რესურსებს (თამაშებს, პრეზენტაციებს, მინი-ფილმებს და ა.შ.), ასევე ვიღებ უკუკავშირს მშობლებისგანაც. პარალელურად, ვაწვდი მათ იმ ვებგვერდების მისამართებს, რომელზეც საინტერესო სასწავლო მასალა ქვეყნდება.

მოსწავლეებიც დავარეგისტრირე „ედმოდოს“ ქსელში და ინტერნეტის საშუალებით ვაჩვენებ, როგორ ვკითხულობ ლექსებს, საბავშვო წიგნებს, ვასმენინებ მუსიკას. ძალიან ხშირად ვუგზავნი წასაკითხად ელექტრონულ წიგნებს, სხვადასხვა დავალებებით. ერთად ვთხზავთ პატარა ზღაპრებს, ვავსებთ კროსვორდებს და ა.შ. ასეთი მუშაობით მოსწავლეებს უადვილდებათ წაკითხული ტექსტის გააზრება, უვითარდებათ უნარები სასწავლო საგნების შესაბამისად. თანამშრომლობით კი, ისახება ახალი გზები, მიზნები, ჩნდება იდეები...

ინტერნეტრესურსების და ახალი თაობის კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებამ სწავლების პროცესი უფრო სახალისო და საინტერესო გახადა. მოსწავლეებმა დაიწყეს დამოუკიდებლად მუშაობა, განუვითარდათ ისეთი უნარები, როგორიცაა: ინფორმაციის მოძიება, აღქმა, ფანტაზია, ფიქრი, დაკვირვების უნარი. ჩემი მოსწავლეები გახდნენ უფრო თავდაჯერებულნი და მოტივირებულნი.

ვურჩევ კოლეგებს, თამამად გამოიყენონ ინოვაციები სწავლებისას, ოღონდ აუცილებლად გაითვალისწინონ, რომ ეს არის დამხმარე ინსტრუმენტი ტრადიციული სწავლების შესავსებად (და არა ჩანაცვლება). არ უნდა დაგვავიწყდეს მოსალოდნელი რისკებიც, კერძოდ:

1) რესურსების ჭარბად გამოყენებამ შეიძლება კი არ გაზარდოს ინტერესი საგნისადმი, არამედ პირიქით, გამოიწვიოს მოსწავლეების ყურადღების გადატანა სასწავლო ფაქტიდან; აუცილებლად გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი მეთოდის, აქტივობის მოდიფიცირება მასწავლებლის ხელოვნებაზე და შემოქმედებითობაზეა დამოკიდებული. მთავარია არ დავკარგოთ მეთოდის იდეა და გამოვიყენოთ მიზანმიმართულად.

2) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხშირმა გამოყენებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. საფრთხის თავიდან აცილებისათვის აუცილებელია შევიმუშაოთ კომპიუტერთან მუშაობის წესები – მოსწავლემ უნდა იცოდეს იმ საშიშროების შესახებ, რასაც ინტერნეტის არასწორი გამოყენება იწვევს, ვაჩვენოთ ამ თემაზე შექმნილი ფილმები, რაც მთავარია, აქტიურად ვითანამშრომლოთ მშობლებთან.

მაია ყურაშვილი
უფროსი მასწავლებელი,
თბილისის №128 საჯარო სკოლა

გამოყენებული ლიტერატურა:
1. გ. ჩაჩანიძე, ვ. სანთარია ინტერნეტ-განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პერსპექტივები. თბილისი, 2004. გვ.132-136;
2.საგნობრივი სტანდარტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ესგ 2011-2016, http://www.ncac.ge/index.php?m=854
3. საგნობრივი სტანდარტი ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. ესგ 2011-2016, http://www.ncac.ge/index.php?m=854.

დიფერენცირებული სწავლება – მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ინოვაციური ფორმა

21-ე საუკუნე ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს განათლების სისტემას. სკოლის ამოცანაა უზრუნველყოს სიღრმისეული სწავლება და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მოსწავლეებში თვითგანვითარებისა და საკუთარ თავზე მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. დღეს აქცენტი მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესზე კეთდება. თანამედროვე პედაგოგიკის მისიაა, გაზარდოს განათლების დონე სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებითა და მუდმივგანახლებადი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვით.

მოგახსენებთ ჩემს მოკრძალებულ მოსაზრებას დიფერენცირებული სწავლების შესახებ.

სანამ უშუალოდ საკითხს შევეხებოდე, მინდა წავიკითხო ამონარიდი ფრანგი მწერლის, როლან პენაკის წიგნიდან „სკოლის სევდა“. მწერლის აზრი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, როგორც მისი ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, ის იყო ჩამორჩენილი, წარუმატებელი მოსწავლე, შემდეგ კი – წარმატებული მასწავლებელი. აი, რას ამბობს იგი: *„ყოველი მოსწავლე თავის ინსტრუმენტზე უკრავს, ასეთია მოცემულობა, აქ ჩვენ ვერაფერს მოვახერხებთ. მთელი ოსტატობა მდგომარეობს მუსიკოსების რაც შეიძლება უკეთ გაცნობაში და მათ შორის ჰარმონიის დამყარებაში. კარგი კლასი პოლკი კი არ არის, ფეხაკრეფით რომ გადაადგილდება, არამედ ორკესტრი, რომელიც სიმფონიას უკრავს, და თუ ორკესტრში სამკუთხედიც მოგეძებნება, რომლისგანაც დინგ-დინდის მეტს ვერაფერს მოისმენ, მთავარია შევიდეს, როცა საჭიროა და გაიჟღეროს რაც შეიძლება უკეთ, რომ ის დაემსგავსოს საუკეთესო სამკუთხედს, რომ შეძლოს იამაყოს ორკესტრის საერთო ჟღერადობაში შეტანილი წვლილით“.*

რეალობა ასეთია: ჩვენი აღსაზრდელები განსხვავდებიან: ა) მზაობის მიხედვით; ბ) ინტერესების მიხედვით; გ) სასწავლო პროფილის მიხედვით; დ) ბიოლოგიური რიტმით.

ამდენად, ისინი განვითარების სხვადახვა ეტაპზე იმყოფებიან. კლასში გვყავს წარმატებულები და წარუმატებლობის შიშით შეპყრობილი, სევდიანი თვალებით მოცქირალი, ზოგჯერ თავმოყვარეობაშელახული მოსწავლეები, მათთვის საკლასო ოთახი სულისშემხუთველ გარემოდ ქცეულა. სწორედ ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ ჩვენი, პედაგოგების საფიქრალს, თავსატეხს.

ლოგიკურად ისმის კითხვა – რაშია გამოსავალი? გამოსავალი ვერ იქნება ტრადიციულ პედაგოგიკაში. მისი პოვნა შეიძლება მხოლოდ პიროვნებაზე და შედეგზე ორიენტირებულ პედაგოგიკაში, თავისი ინოვაციური მიდგომებითა და მეთოდებით.

პარალელს გავავლებ მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებასა და დიფერენცირებულ სწავლებას შორის. დიფერენცირების სხვადასხვა ფორმები არსებობს – „ბენდინგი“, „სტრიმინდი“, „სეტინგი“. მე მიმოვიხილავ სეტინგის ფორმას.

- დიფერენცირება არის სასწავლო პროცესის მორგება მოსწავლეთა საჭიროებებზე;
- დიფერენცირება არის ერთ კლასში განსხვავებული მიღწევების მქონე მოსწავლეთა ჯგუფებიდან განსხვავებული მეთოდებისა და აქტივობის გამოყენება მოსწავლეთა ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით.

რა არის დიფერენცირებული სწვლების მიზანი?

- მოსწავლის დახმარება თავისი შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენასა და განვითარებაში;
- მოსწავლისათვის განვითარების ოპტიმალური პირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ესგ-ის სტანდარტების მიღწევას.

დიფერენცირებული სწვლების ამოცანაა

- სასწავლო პროცესის აგება მოსწავლეთა პიროვნული თავისებურებების, საჭიროებების და ინტერესების მიხედვით;
- სწავლის დაწყება იმ წერტილიდან, სადაც მოსწავლე დროის მოცემულ მომენტში იმყოფება.

აღმოჩნდა, რომ არის ურთიერთწინააღმდეგობა სასწავლო ამოცანებსა და მოსწავლის განვითარების დონეს შორის. თუ დავალების დონე ბევრად აღემატება მოსწავლის განვითარების დონეს, მაშინ ის შეუსრულებელი დარჩება ან შესრულდება არასრულად. ასეთმა მიდგომამ შეიძლება მოსწავლეს სწავლის მოტივაცია დააკარგინოს, საგნის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოუყალიბოს. თუ დავალება ძალზე მარტივი აღმოჩნდება, მაშინ არ შეუწყობს ხელს მოსწავლის განვითარებას, წინსვლას, რადგან მიზნის მისაღწევად საკმაო ენერგია არ დაუხარჯავს, იმიტომ რომ, დიფერენცირებული სწავლება ითვალისწინებს: მოსწავლეებს მოვარგოთ და მივაწოდოთ ის, რისთვისაც მზად არიან და რაც სჭირდებათ ამ წუთში, დროის კონკრეტულ მომენტში!

რას ეფუძნება დიფერენცირება?

დიფერენცირება ეფუძნება მოსწავლის მზაობას. სწავლების აღნიშნული მეთოდის ეფექტური გამოყენება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თავის მოსწავლეებს და რამდენად ითვალისწინებს, გაკვეთილის დაგეგმვისას, თითოეული მოსწავლის ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ფსიქოლოგიურ თავისებურებებს.

დიფერენცირებული მიდგომა ზუსტი დიაგნოსტიკის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. სანამ საქმე ცოდნაში არსებული ხარვეზების გამოსწორების საჭიროებამდე მივა, ჯერ ფსიქოლოგიურ საჭიროებებზეა საფიქრი. მაგალითს მოვიყვან: ნოყიერ ნიადაგში ჩაგდებული ჯანსაღი თესლი არ აღმოცენდება, თუ ამინდმა არ შუწყო ხელი. აქვე მოვიშველიებ დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიასა და მასლოუს პირამიდას და დავძენ, რომ თუ მოსწავლის ფსიქოლოგიური მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, მაშინ საგნის სწავლებაზე დახარჯული შრომა დაემსგავსება საცრით წყლის ზიდვას!

რა საჭიროებებზეა საუბარი სასწავლო პროცესში?

- კომპეტენტურობის საჭიროება;
- სოციალური მიკუთვნებულობის საჭიროება;
- ავტონომიურობის საჭიროება.

თუ ეს საჭიროებები ტოტალურად არ კმაყოფილდება, საქმე საგნის საჭიროებამდე ვერ მივა, რადგან დაბალია მოტივაცია, ათვისების ეფექტურობა. სწორედ დასახელებული საჭიროებების დაკმაყოფილებას მოიცავს თავის თავში დიფერენცირებული სწავლება.

რაც შეეხება მზაობის დონის დადგენას – დიაგნოსტიკური ტესტების ანალიზის მიხედვით, კეთდება განმავითარებელი შეფასება და, მოსწავლის ცოდნის, საჭიროებებისა და ფსიქოლოგიური თავისებურებების მიხედვით, იქმნება ჯგუფები და დიფერენცირებულ დავალებათა პაკეტები (პაკეტები იქმნება დიფერენცირების სტრატეგიების გამოყენებით).

კონფერენცია

დიფერენცირების სტრატეგიებია:

- კონკრეტულიდან აბსტრაქტულამდე;
- მარტივიდან რთულამდე;
- ცალმხრივიდან მრავალმხრივამდე;
- პატარა ნახტომიდან დიდ ნახტომამდე;
- ნელიდან სწრაფამდე;
- ნაკლებად დამოუკიდებლობიდან მეტად დამოუკიდებლამდე;
- და ა.შ.

დიფერენცირება შეიძლება მოვახდინოთ გაკვეთილის გეგმის სამივე კომპონენტის (შინაარსი, პროცესი, შედეგი) ან მხოლოდ ორის – პროცესისა და შედეგის.

დიფერენცირებული სწავლების დროს დაუშვებელია:

- მოსწავლეთა ჯგუფებისთვის მყარი იარლიყის მიწებება აქცენტით მათ შესაძლებლობებსა და ნიჭიერებაზე;
- მოსწავლეთა რომელიმე ჯგუფისთვის დისკრიმინაციული (უინტერესო, ნაკლებ გამომწვევი, შეუფერებლად მარტივი) დავალების მიცემა.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად: 1) ჯგუფებში მოსწავლეთა შემადგენლობა მუდმივად უნდა იცვლებოდეს. ისე შევარჩიოთ აქტივობა, რომ უზრუნველყოს ხარვეზის გამოსწორება და ასევე მოსწავლის მზაობის დონის ხარისხის ამაღლება (ნაბიჯის გადადგმა წინ), რათა ცოდნის დონით, დაეწიოს მაღალი მზაობის მოსწავლეს; 2) საჭიროა ფოკუსირება მაღალი მზაობის მოსწავლეზე. ზოგჯერ შევურჩიოთ მას შესაძლებლობის ზედა ზღვართან ახლოს მდგომი დავალება, რომელსაც მასწავლებლის სკაფოლდინგის გარეშე ვერ შეასრულებს; 3) მოსწავლეები დავაჯგუფოთ როგორც მზაობის დონის, ასევე ინტერესების მიხედვით. გასათვალისწინებელია, რომ გაკვეთილის მსვლელობისას ჯგუფები, პერიოდულად, უნდა ერთიანდებოდეს.

რა საჭიროა დიფერენცირება?

- სწავლაში ყველა მოსწავლის დასახმარებლად;
- მოსწავლეში სასწავლო საგნის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების შესაქმნელად;
- მზაობის დონის ზრდისთვის (მოსწავლე სწავლობს იმას, რაც სჭირდება);
- მოტივაციის ასამაღლებლად (მოსწავლე მისი მზაობის შესაბამის დავალებას ასრულებს);
- სწავლების ეფექტურობის ამაღლებისთვის (რადგან გაიზრდება მოსწავლეთა შედეგები 95%-მდე);
- სწავლაში მოსწავლეთა დამოუკიდებლობის ასამაღლებლად;
- თითოეულმა მოსწავლემ განიცადოს წარმატების სიხარული გაკვეთილზე.

რამ შეიძლება შეგვიშალოს ხელი მეთოდის დანერგვაში?

- ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების სიმცირემ;
- არაპროფესიონალიზმმა (სიღრმისეული სწავლება საჭიროებს სიღრმისეულ ცოდნას არა მარტო საგნის, არამედ ინოვაციური მეთოდების, სწავლების სტრატეგიების და ა.შ.);
- წარუმატებლობის შიშმა;
- გულგრილობამ.

რა მომწონს დიფერენცირებული მიდგომით ჩატარებული გაკვეთილის?

- საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა და მაღალი მოტივაცია;
- მაღალი აკადემიური შედეგი.

რაში მეხმარება დიფერენცირებული სწავლება (თავისი განმავითარებელი შეფასებებით, დიაგნოსტიკური წერებით)?

- ვაკონტროლო მოსწავლეთა განვითარება;
- შევამოწმო მათი წინსვლა;
- გავარკვიო პრობლემა და ახალი საკითხის ათვისების ხარისხი;
- დროულად აღმოვფხვრა მოსწავლის ცოდნაში არსებული ხარვეზი (რათა მყარ ფუნდამენტზე მოხდეს შემდეგ ახალი ცოდნის დაშენება).

ჩემი დამოკიდებულება დიფერენცირებული სწავლებისადმი: დიფერენცირებული პრინციპით სწავლება ხელახლა აღმოგვაჩენინებს ჩვენს აღსაზრდელებს. ეს არის ინოვაცია, რომელიც ჰარმონიულს გახდის სკოლის ცხოვრებას, მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობას.

დიფერენცირებული სწავლება, კონსტრუქტივისტული ელემენტებითა და განმავითარებელი შეფასებებით, უზრუნველყოფს თვითრეალიზებული, კრეატიული, დამოუკიდებელი თაობის აღზრდას, რომელიც მოახერხებს სკოლაში მიღებული ფუნდამენტური ცოდნის ტრანსფერს საჭიროების შესაბამისად.

ნინო არაბული
თბილისის №128 საჯარო სკოლის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. დიმიტრი უზნაძე, „განწყობის ფსიქოლოგია“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. 2009წ.;
2. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PRIED) ელექტრონული კურსები. www.kargiskola.ge

გამოცდილება

თანამშრომლობითი სწავლება

„ევლევებმა გვიჩვენა, რომ თანამშრომლობითი სწავლება უფრო ეფექტურია, ვიდრე კონკურენტული და ინდივიდუალური სწავლება როგორც აკადემიურ, ასევე სოციალურ კონტექსტში, მიუხედავად საგნისა თუ კლასისა.“

სპენსერ კაგანი

თანამშრომლობითი სწავლება წარმოადგენს სწავლების ყველაზე თანამედროვე ფორმას, რომელსაც მასწავლებლები სულ უფრო აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. იგი მიმართულია პარტნიორული და ჯგუფური მუშაობისკენ, რომელიც მოითხოვს მონაწილეთა სინქრონულ და ასინქრონულ, კოორდინირებულ და კონსტრუქციულ აქტივობას პრობლემის ერთობლივად გადასაჭრელად და საერთო მიზნის მისაღწევად.

თანამშრომლობითი სწავლების დროს, დამოუკიდებელი და კონკურენტული სწავლებისგან განსხვავებით, მოსწავლეებს უვითარდებათ ორმაგი – ინდივიდუალური და ჯგუფური – პასუხისმგებლობა. ამ დროს თითოეული მათგანი პასუხს აგებს არა მარტო საკუთარ თავსა და კეთილდღეობაზე, არამედ ჯგუფსა და მის წარმატებაზეც.

ამრიგად, თანამშრომლობითი სწავლებისას გამოყოფენ პასუხისმგებლობის ორ დონეს. პირველია ჯგუფური პასუხისმგებლობა, რათა ჯგუფმა მიაღწიოს მიზანს, ხოლო მეორე – ჯგუფის თითოეული წევრის პასუხისმგებლობა, საკუთარი წვლილი შეიტანოს ჯგუფის მუშაობასა და წარმატებაში. სწორედ პასუხისმგებლობის ეს ორი დონე უნდა იყოს ინტეგრირებული თანამშრომლობით გაკვეთილში, თითოეულ მოსწავლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი წარმატება ჯგუფის წარმატების საწინდარია.

თანამშრომლობითი სწავლებისთვის შექმნილი ჯგუფის ერთ-ერთი ამოცანაა, თითოეული წევრი აქციოს მკვეთრად გამოხატულ ინდივიდად.

ვინაიდან კომუნიკაციური და თანამშრომლობითი უნარების განვითარება ეფექტიანი სწავლების მნიშვნელოვანი საყრდენია, გაკვეთილმა უნდა უზრუნველყოს მრავალფეროვანი სოციალური ინტერაქცია – საუბრები, დისკუსიები, დებატები და სხვა – და, რაც მთავარია, როგორც დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება, ისე სხვისი ნააზრევის გაგების, ანალიზის, შეფასებისა და ერთიანი დასკვნის გამოტანის უნარები.

ორი თავი უკეთ სწავლობს, ვიდრე ერთი – კლასიკური გამოთქმის ეს ვარიაცია მართებულია მოსწავლეების კონტექსტში. თანამშრომლობითი ჯგუფის მუშაობა ეფექტური სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. თანამშრომლობითი სწავლა უფრო მეტია, ვიდრე მოსწავლეების „ერთად მუშაობა“. ჯგუფური სამუშაოს უპირველესი მიზანია, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, სადაც განსაზღვრულია საერთო მიზანი. ასეთი დაჯგუფება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გააუმჯობესონ თავისი და ერთმანეთის სწავლა.

ბევრი მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის მთავარი იმედგაცრუება მდგომარეობს იმაში, რომ თანამშრომლობით ჯგუფებში, ხშირად, მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეები სამუშაოს უმეტეს ნაწილს აკეთებენ. თანამშრომლობითი ჯგუფი რომ ეფექტური იყოს და კარგად დაინერგოს სასწავლო პროცესში, ჯგუფურ სამუშაოში გამოყოფილი უნდა იყოს ნათელი როლური პასუხისმგებლობები, როლები და ინდივიდუალური პასუხისმგებლობები.

სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი ჯგუფები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, ისწავლონ ერთმანეთისგან და ასწავლონ ერთმანეთს. *„1990-იან წლებში, ორგანიზაციების შესწავლისას, გუნდური მუშაობა აღმოჩნდა ყველაზე მეტად დაფასებული მენეჯერული კომპეტენცია მსოფლიოში“* (გოლემანი, 1998). ჩვენ შეგვიძლია მოვამზადოთ მოსწავლეები თანამედროვე სამუშაოსათვის შესაბამისი რესურსების მიცემით, რაც გულისხმობს ერთად მუშაობას პროდუქტების შესაქმნელად და პრობლემების გადასაწყვეტად.

თანამშრომლობითი სწავლების ინტეგრირება ყველა კლასშია შესაძლებელი. ეს პროცესი მოთმინებით და აუჩქარებლად უნდა განხორციელდეს. წარმატებისათვის საჭიროა მაღალი მოლოდინებისა და მოსწავლეების ინდივიდუალური და კოლექტიური პასუხისმგებლობის შენარჩუნება, ასევე ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც თანამშრომლობა წახალისებულია.

მოვიყვან პირად მაგალითს: მოგეხსენებათ, რომ ჯგუფური მუშაობის დროს სასურველია იყოს 4 ან 5-წევრიანი 3-4 ჯგუფი. თითოეული ჯგუფი არ შედგება მხოლოდ ძლიერი და სუსტი მოსწავლეებისაგან. ისინი გადანაწილებულები არიან თანაბარი შესაძლებლობების მიხედვით. ყოველთვის ვცდილობ, რომ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესები იყოს დაცული, ამიტომ ვთავაზობ, თითოეული ჯგუფიდან, შედარებით დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლემ გააკეთოს პრეზენტაცია, გამოთქვას თავისი აზრი მოცემული საკითხის შესახებ, რაშიც მას გუნდის წევრებიც ეხმარებიან. ამით მოსწავლეებს ეზრდებათ მოტივაცია, სწავლება უფრო ეფექტური და სახალისო ხდება.

როდესაც ახალ თემაზე ვიწყებთ მუშაობას, მოსწავლეებს ვთავაზობ მოიძიონ ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, მეშვიდე კლასში ისწავლება თემა „Die Kleidung“. ისინი თავიანთ მოძიებულ ინფორმაციას (თანამედროვე ქართველ და უცხოელ დიზაინერებზე, რომლებიც ქმნიან ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, აქსესუარებსა და ა.შ.) უზიარებენ ერთმანეთს, აკეთებენ კომენტარს და მართავენ დისკუსიას. ამ დროს საგაკვეთილო პროცესი მეტად საინტერესოდ მიმდინარეობს. ამით ვცდილობ, მოსწავლეებს გავუღვივო საგნისადმი ინტერესი და, ამავდროულად, გავაღრმავო მათი ცოდნა.

საგულისხმოა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს მეტი თავისუფლება უნდა მივცეთ, რათა საკუთარ თავში აღმოაჩინოს მრავალმხრივი უნარი და მათი განვითარების საშუალება. ყველა ბავშვი ხომ უნიკალური ინდივიდია. სწავლების თანამედროვე ჰუმანისტური თეორია სწავლების თანამშრომლობაზე დამყარებულ მოდელს გვთავაზობს, სადაც მასწავლებელი პარტნიორია და ეხმარება მოსწავლეს, განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობები და თავისი საჭიროებების შესაბამისად ისწავლოს.

სწავლების თანამედროვე მიდგომების შესაბამისად, მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის წარმართვის მიზნით, თანამშრომლობითი სწავლის ტექნიკის გამოყენება მასწავლებლისთვის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია. ამ მეთოდის გამოყენებით, მას შეუძლია, სასწავლო მიზნის მისაღწევად, დავალება სხვადასხვა ჭრილში შეადგინოს. მოსწავლეს შეიძლება მოვთხოვოთ ინფორმაციის მოკვლევა, საკითხის კვლევა, გარემოებების ანალიზი და შედარება, დიაგნოსტიკა, საკითხის გავრცობა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, პრიორიტეტების დადგენა, ფაქტების შეჯამება, პრობლემის გადაჭრა, გარემოებების ინტერპრეტაცია, საკითხის კრიტიკა და შეფასება, ინფორმაციის პრაქტიკაში გამოყენება და ა.შ. (Davis, 1993, McKeachie, 1999 in Bill Cerbin, April 23, 2010).

თანამშრომლობითი სწავლების საშუალებით მოსწავლეები არა მარტო ცოდნას ეუფლებიან, არამედ უვითარდებათ სოციალიზაციისა და კომუნიკაციის უნარებიც, რადგან სწორედ სწავლების ეს ფორმა მოითხოვს და უწყობს ხელს მათ უშუალო კომუნიკაციასა და ინტერაქციას. ამ დროს მოსწავლეები იძენენ ისეთ კომუნიკაციურ უნარებს, როგორებიცაა: კითხვის დასმის, აქტიური მოსმენის, თხრობის, მიღებული ინფორმაციის გადამუშავებისა და ადეკვატური საპასუხო რეაქციის დაბრუნების უნარები და სხვ. ასევე ხელს უწყობს სოციალიზაციის უნარების განვითარებას: საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და დაცვის, სხვათა აზრებისა და შეხედულებების პატივისცემის, საერთო გამოცდილებიდან გამოცდილების შეძენისა და სხვ.

ჯულიეტა ჭეიშვილი
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქვიტირის საჯარო სკოლის გერმანული ენის უფროსი მასწავლებელი

პედაგოგთა დასახმარებლად

კვადრატულ განტოლებებთან დაკავშირებული ამოცანები

თემა: კვადრატული განტოლების ფესვების შედარება ნებისმიერ ნამდვილ რიცხვთან

მიზანი: კვადრატული ფუნქციის თვისებების ანალიზის საფუძველზე, შემოქმედებითი აზროვნების განვითარება და მიღებული შედეგების გამოყენება კვადრატულ განტოლებებთან და უტოლობებთან დაკავშირებული ამოცანების ამოხსნაში.

თემის მოკლე მიმოხილვა: მოცემული სტატია ეხება ნებისმიერი ნამდვილი რიცხვისა და კვადრატული განტოლების ფესვების შედარებას, ანუ რა შემთხვევაშია (იგულისხმება, რომ კვადრატული განტოლების კოეფიციენტები რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ) მოცემული ნამდვილი რიცხვი კვადრატული განტოლების ორივე ფესვზე მეტი, ნაკლები ან მოთავსებულია ფესვებს შორის, რის დასადგენადაც გამოყენებულია კვადრატული ფუნქციის ნიშან-მუდმივობის შუალედები. ამრიგად, დასმული ამოცანა უკავშირდება კვადრატულ ფუნქციას. სტატია იმითაც არის საინტერესო, რომ ნაპოვნია დასმული ამოცანის ამოხსნის ახალი, ორიგინალური მეთოდი. შედეგები განზოგადებულია და შეგვიძლია გამოვიყენოთ კვადრატულ განტოლებებთან და უტოლობებთან დაკავშირებული სავარჯიშოების ამოხსნაში.

კვადრატული ფუნქციის ნიშანმუდმივობის შუალედები

ჩვენთვის ცნობილია კვადრატული ფუნქციის $y=ax^2+bx+c$ ნიშანმუდმივობის შუალედები, როცა $a>0$ და როცა $a<0$ განვიხილოთ თითოეული შემთხვევა და გავაკეთოთ სათანადო დასკვნები, რაც კვადრატულ ფუნქციას ახლებურად დაგვანახებს.

I შემთხვევა: $a>0$ (იგულისხმება, რომ $D>0$)

როგორც ვიცით, კვადრატული ფუნქციის $\int(x)=ax^2+bx+c$ დადებითობის შუალედია: $(-\infty; x_1) \cup (x_2+\infty)$ ეს იმას ნიშნავს, რომ დადებითობის შუალედიდან აღებული ყოველი რიცხვი მეტია ფუნქციის ორივე ნულზე (x_1-ზე და x_2-ზე) ან ნაკლებია ორივე ნულზე. მოკლედ შეიძლება ასე ჩავწეროთ:

$$\int(x)>0 \Leftrightarrow x<x_1<x_2 \quad \text{ან} \quad x>x_2>x_1$$

ასევე, ცნობილია მოცემული კვადრატული ფუნქციის უარყოფითობის შუალედი: $(x_1; x_2)$. ეს იმას ნიშნავს, რომ უარყოფითობის შუალედიდან აღებული ყოველი რიცხვი მოთავსებულია ფუნქციის ნულებს შორის, ანუ:

$$\int(x)<0 \Leftrightarrow x_1<x<x_2$$

რასაც გრაფიკული წარმოდგენა უფრო თვალსაჩინოს ხდის:



შევნიშნოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში, $\int(x)<0$ არის აუცილებელი და საკმარისი პირობა იმისა, რომ x რიცხვი მოთავსებული იყოს ფუნქციის ნულებს შორის, მაგრამ $\int(x)>0$ არ არის საკმარისი პირობა იმისა, რომ დავადგინოთ რაიმე, x რიცხვი ფუნქციის ორივე ფესვზე მეტია თუ ნაკლები, არამედ წარმოადგენს მხოლოდ აუცილებელ პირობას.

ანუ $\int(x)>0$ არ ნიშნავს, რომ $x>x_2>x_1$ ისევე, როგორც $\int(x)>0$ უტოლობიდან არ გამომდინარეობს $x<x_1<x_2$ შედარება, არამედ მოცემული ორმაგი უტოლობებიდან ერთ-ერთს ვიღებთ.

საჭიროა დამატებითი პირობის მოთხოვნა იმისათვის, რომ დავადგინოთ როდის არის x რიცხვი ფუნქციის ორივე ფესვზე მეტი ან ნაკლები.

შევნიშნოთ, რომ კვადრატული ფუნქციის გრაფიკის – პარაბოლის წვერის პირველი კოორდინატი $x_0 = -(b/2a)$ მოთავსებულია ფუნქციის ნულებს შუა, $x_1 < x_0 < x_2$ ამიტომ x რიცხვი თუ მეტი იქნება ფუნქციის ორივე ნულზე, ის მეტი იქნება x_0-ზეც, ხოლო თუ x რიცხვი ნაკლები იქნება ფუნქციის ნოლებზე, ის ნაკლები იქნება x_0-ზეც. ე.ი.

$$x>x_2>x_1 \Rightarrow x>x_0, \text{ ხოლო } x<x_1<x_2 \Rightarrow x<x_0$$

სამართლიანია პირიქითაც, თუ x აკმაყოფილებს პირობას $\int(x)>0$, ანუ თუ x რიცხვი არის დადებითობის შუალედიდან აღებული და ამასთან $x>x_0$, მაშინ x მეტი იქნება ფუნქციის ორივე ნულზე, ხოლო თუ $x<x_0$ მაშინ x ნაკლები იქნება ფუნქციის ორივე ნულზე.

ანუ, $\int(x)>0$ და $x>x_0 \Rightarrow x>x_2>x_1$

ხოლო $\int(x)>0$ და $x<x_0 \Rightarrow x<x_1<x_2$

მართლაც, თუ $\int(x)>0$, მაშინ $x>x_2>x_1$ ან $x<x_1<x_2$, ანუ გვაქვს ორი შემთხვევა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ $x>x_0$, მაშინ გამოვა, რომ $x>x_2>x_1$. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ $x<x_1<x_2$, ანუ x რიცხვი თუ ნაკლები აღმოჩნდება ფუნქციის ორივე ნულზე, მაშინ გვექნება, რომ $x<x_0$ რაც ეწინააღმდეგება პირობას $x>x_0$, ხოლო თუ პირობაში მოვითხოვთ, რომ $x<x_0$, მაშინ $x<x_1<x_2$. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ $x>x_2>x_1$, მაშინ გვექნება $x>x_0$, რაც ეწინააღმდეგება პირობას – $x<x_0$.

გრაფიკული წარმოდგენით ეს უფრო თვალსაჩინოა.



ამრიგად, მივიღეთ შემდეგი შედეგები:

ა) რაიმე x რიცხვი მეტი რომ იყოს $\int(x)=ax^2+bx+c$ $(a>0)$ კვადრატული ფუნქციის ორივე ნულზე აუცილებელი და საკმარისია შესრულდეს შემდეგი პირობები:

$$\int(x)>0; \ x>x_0 \text{ და } D>0.$$

ბ) რაიმე x რიცხვი ნაკლები რომ იყოს $\int(x)=ax^2+bx+c$ $(a>0)$ კვადრატული ფუნქციის ორივე ნულზე აუცილებელი და საკმარისია შესრულდეს შემდეგი პირობები:

$$\int(x)>0; \ x<x_0 \text{ და } D>0.$$

გ) რაიმე x რიცხვი მოთავსებული რომ იყოს $\int(x)=ax^2+bx+c$ $(a>0)$ კვადრატული ფუნქციის ნულებს შორის, ანუ ერთ ნულზე – მეტი და მეორეზე – ნაკლები, აუცილებელი და საკმარისია, შესრულდეს შემდეგი პირობები:

$$\int(x)<0 \text{ და } D>0.$$

II შემთხვევა: $a<0$

ანალოგიური მსჯელობით და გრაფიკზე დაკვირვებით, ადვილი გასაკეთებელია შემდეგი დასკვნები:

ა) რაიმე x რიცხვი მეტი რომ იყოს $\int(x)=ax^2+bx+c$ $(a<0)$ კვადრატული ფუნქციის ორივე ნულზე აუცილებელი და საკმარისია შესრულდეს შემდეგი პირობები:

$$\int(x)<0; \ x>x_0 \text{ და } D>0.$$

ბ) რაიმე x რიცხვი ნაკლები რომ იყოს $\int(x)=ax^2+bx+c$ $(a<0)$ კვადრატული ფუნქციის ორივე ნულზე აუცილებელი და საკმარისია შესრულდეს შემდეგი პირობები:

$$\int(x)<0; \ x<x_0 \text{ და } D>0.$$

გ) რაიმე x რიცხვი მოთავსებული რომ იყოს $\int(x)=ax^2+bx+c$ $(a<0)$ კვადრატული ფუნქციის ნულებს შორის აუცილებელი და საკმარისია შესრულდეს შემდეგი პირობები:

$$\int(x)>0 \text{ და } D>0.$$



ნებისმიერი t ნამდვილი რიცხვისა და კვადრატული განტოლების ფესვების შედარების პირობები

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რა შემთხვევაშია რაიმე t რიცხვი $ax^2+bx+c=0$ კვადრატული განტოლების ორივე ფესვზე მეტი, ნაკლები ან მოთავსებულია ფესვებს შორის, რადგანაც მოცემული კვადრატული განტოლების ფესვები იგივეა, რაც შესაბამისი $\int(x)=ax^2+bx+c$ კვადრატული ფუნქციის ნულები. ამიტომ, ზევით მიღებული შედეგები სამართლიანი იქნება მოცემული კვადრატული განტოლების ფესვებისთვისაც, რომელიც შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

ა) t რიცხვი მეტი რომ იყოს, $ax^2+bx+c=0$ კვადრატული განტოლების ორივე ფესვზე აუცილებელი და საკმარისია, შესრულდეს შემდეგი პირობები:

1) $a>0$; $b^2-4ac>0$; $at^2+bt+c>0$; $t> -(b/2a)$

ან

2) $a<0$; $b^2-4ac>0$; $at^2+bt+c<0$; $t> -(b/2a)$

ამ ორ შემთხვევაში გვექნება, რომ $x_1<x_2<t$.

ბ) t რიცხვი ნაკლები რომ იყოს $ax^2+bx+c=0$ კვადრატული განტოლების ორივე ფესვზე აუცილებელი და საკმარისია შესრულდეს შემდეგი პირობები:

1) $a>0$; $b^2-4ac>0$; $at^2+bt+c>0$; $t< -(b/2a)$

ან

2) $a<0$; $b^2-4ac>0$; $at^2+bt+c<0$; $t< -(b/2a)$

ამ ორ შემთხვევაში გვექნება, რომ $x_2>x_1>t$.

გ) t რიცხვი მოთავსებული რომ იყოს, $ax^2+bx+c=0$ კვადრატული განტოლების ფესვებს შორის, აუცილებელი და საკმარისია შესრულდეს შემდეგი პირობები:

1) $a>0$; $b^2-4ac>0$; $at^2+bt+c<0$

ან

2) $a<0$; $b^2-4ac>0$; $at^2+bt+c>0$

ამ ორ შემთხვევაში გვექნება, რომ $x_1<t<x_2$.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ $ax^2+bx+c=0$ კვადრატული განტოლების ფესვები იგივეა, რაც მისი ტოლფასი $x^2+(b/a)x+(c/a)=0$ განტოლების ფესვები, მაშინ მიღებული შედეგები მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

ა) $x_1<x_2<t \Leftrightarrow g(t)>0; \ t>x_0; \ D>0$

ბ) $x_2>x_1>t \Leftrightarrow g(t)>0; \ t<x_0; \ D>0$

გ) $x_1<t<x_2 \Leftrightarrow g(t)<0; \ D>0$

სადაც, $g(x)=x_2 + (b/a)x+(c/a)$; $x_0= -(b/2a)$

შევნიშნოთ, რომ თუ $t=0$, მაშინ მივიღებთ კვადრატული განტოლების ფესვების ნიშნების დადგენის პირობებს. მართლაც:

ა) ორივე ფესვი არის უარყოფითი, ანუ $x_1<x_2<0$, როცა:

$g(0)>0$; $0> -(b/2a)$ $D>0$ საიდანაც, $(c/a)>0$. $-(b/a)<0$; $D>0$

ბ) ორივე ფესვი არის დადებითი, როცა:

$g(0)>0$; $0< -(b/2a)$; $D>0$, ანუ $(c/a)>0$; $-(b/a)>0$; $D>0$

გ) ფესვები არის სხვადასხვა ნიშნის, როცა:

$g(0)<0$; $D>0$, რაც იგივეა $(c/a)<0$; $D>0$

მიღებული შედეგები გამომდინარეობდა ვიეტის თეორემიდანაც, ჩვენ კი მოვახდინეთ ვიეტას თეორემის განზოგადება და კვადრატული განტოლების ფესვები შევადარეთ ნებისმიერ t რიცხვს.

მიღებული შედეგები შეგვიძლია გამოვიყენოთ კვადრატულ განტოლებებთან და უტოლობებთან დაკავშირებული სავარჯიშოების ამოხსნაში:

სავარჯიშო 1.

ვიპოვოთ m-ის მნიშვნელობათა სიმრავლე, რომლისთვისაც $x^2+mx+9=0$

განტოლების ორივე ფესვი ნაკლები იქნება 5-ზე $(x_1<x_2<5)$.

ამოხსნა: დასმული ამოცანის მოთხოვნა რომ შესრულდეს, საჭიროა (აუცილებელი და საკმარისია) შესრულდეს შემდეგი პირობები:

1) $D>0$; 2) $g(5)>0$; 3) $x_0<5$.

1) $D=m^2-36 \Rightarrow m^2-36>0 \Leftrightarrow m>6$ ან $m< -6$.

2) $\int(5)=5^2+5m+9=5m+34 \Rightarrow 5m+34>0 \Leftrightarrow m> -6,8$.

3) $x_0= -(m/2) \Rightarrow -(m/2)<5 \Leftrightarrow m> -10$.

საიდანაც ვიღებთ საბოლოო პასუხს: $m \in (-6,8; -6) \cup (6; +\infty)$.

სავარჯიშო 2.

ვიპოვოთ m-ის ყველა მნიშვნელობა, რომლისთვისაც

$$x^2-(2m-1)x+m^2=0$$

განტოლების ერთი ფესვი ნაკლები იქნება 2-ზე, ხოლო მეორე – მეტი.

$$(x_1 < 2 < x_2)$$

ამოსხნა: ამოცანის ამოსახსნელად აუცილებელი და საკმარისია შესრულდეს შემდეგი პირობები:

1) $D>0$; 2) $g(2)<0$

1) $D=(2m-1)^2-4m^2 = 4m^2 - 4m+1 - 4m^2 = -4m+1 \Rightarrow -4m+1>0 \Leftrightarrow m< 1/4$.

2) $g(2)=2^2-(2m-1)2+m^2=m^2-4m+6 \Rightarrow m^2-4m+6<0 \Leftrightarrow 2-2\sqrt{2}<m<2+2\sqrt{2}$

საიდანაც ვიღებთ საბოლოო პასუხს $(2-2\sqrt{2}; \ 1/4)$

სავარჯიშო 3. ვიპოვოთ k-ს ყველა ის მნიშვნელობა, რომლისთვისაც $x^2-kx+2=0$

განტოლების ფესვები მოთავსებულია $(0;3)$ შუალედში.

მითითება: მოცემული ამოცანის ამოხსნა ნიშნავს იმას, რომ $(0;3)$ შუალედმა უნდა მოიცვას $[x_1,x_2]$ სეგმენტი, ანუ უნდა ვიპოვოთ ისეთი k, რომ განტოლების ფესვები – x_1 და x_2 მეტი იყოს 0-ზე და ნაკლები 3-ზე $(0< x_1<x_2<3)$.

სავარჯიშო 4. ვიპოვოთ k-ს ყველა ის მნიშვნელობა, რომლისთვისაც $x^2+kx+k^2+6k<0$

უტოლობა სრულდება ნებისმიერი $x \in (1; 2)$ შუალედისთვის.

მითითება: მოცემული ამოცანის ამოხსნა ნიშნავს იმას, რომ (x_1, x_2) ინტერვალმა უნდა მოიცვას $(1;2)$ ინტერვალი, ანუ უნდა ვიპოვოთ ისეთი k, რომ განტოლების ფესვებმა დააკმაყოფილონ შემდეგი უტოლობა $x_1 \le 1<2 \le x_2$.

სავარჯიშო 5. ვიპოვოთ k-ს ყველა მნიშვნელობა, რომლითვისაც $x^2-(3k+1)x+k>0$.

უტოლობა სრულდება ყველა $x>1$-სთვის.

მითითება: იმისათვის, რომ შესრულდეს ამოცანაში მოცემული მოთხოვნა, აუცილებელი და საკმარისია, განტოლების ორივე ფესვი ნაკლები იყოს 1-ზე: $x_1<x_2<1$ $D<0$.

ანალოგიურად შეიძლება ამოიხსნას კვადრატულ განტოლებებთან და უტოლობებთან დაკავშირებული სხვა სავარჯიშოებიც.

იოსებ ნონიკაშვილი
ამბროლაურის რაიონის სოფელ ლიხეთის საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი, პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ მონაწილე

გამოცდილება

როგორ ვასწავლი სინტაქსური ურთიერთობის სახეებს მეშვიდე კლასში

ქართული ენის სწავლებისას ხშირად მასწავლებლები და მოსწავლეები ვაწყდებით ამა თუ იმ პრობლემას. ეს მრავალ საკითხს ეხება, მაგალითად, ზმნის გვარის სწავლებას, თემისა და თემის ნიშნების სწავლებას, სინტაქსური ურთიერთობის სახეების სწავლებასა და მრავალ სხვას. მე მინდა ყურადღება ამ უკანასკნელზე გავამახვილო.

ყველასათვის ცნობილია, რომ სინტაქსური ურთიერთობის სახეები ისწავლება მე-8 კლასში, სანამ მოსწავლეები წინადადების წევრებს შეისწავლიან. არა და მათ ჯერ მხოლოდ მეტყველების ნაწილები იციან. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება, ეს საკითხი მაშინ შევიდეს პროგრამაში, როცა მარტივი წინადადების შესწავლა დამთავრდება და ბავშვებს უკვე ეცოდინებათ შემასმენლისა და ქვემდებარის ურთიერთობა რიცხვში, ასევე ეცოდინებათ წინადადების ის წევრები, რომლებიც სახელზმნით არის გადმოცემული. აუცილებელია, უკვე ნასწავლი ჰქონდეთ უბრალო დამატება, აი, მაშინ უფრო კარგად გაიგებენ შეთანხმების, მართვისა და მირთვის არსს. მაგრამ, რადგან პროგრამა ამას არ ითვალისწინებს, ვცდილობ, მე-7 კლასიდან, თანდათან მოვამზადო მოსწავლეები ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესასწავლად.

როცა ზმნასა და მის პირს ვასწავლი, მაშინვე ვამახვილებ ყურადღებას ზმნისა და მის პირთან შეწყობილი სახელების ურთიერთობაზე. მაგალითად, ავიღოთ ასეთი წინადადება: „მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა“. რადგანაც მოსწავლეებმა უკვე იციან, რომელია ზმნა, ამოიწერენ მას და შეუწყობენ პირებს: სტყორცნა მან, მას, ის. შემდეგ ასახელებენ, რომელია აქედან სუბიექტი და ობიექტები (აღსანიშნავია, რომ მათ უკვე იციან პირისა და რიცხვის ნიშნები ზმნაში, ასევე სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები). შემდეგ დავაწყვილებინებ ზმნასა და სუბიექტისა და ობიექტის ფარდ სიტყვებს:

- მზემ სტყორცნა;
- სხივი სტყორცნა;
- ფანჯარას სტყორცნა.

შემდეგ ბავშვებს კითხვების საშუალებით ვეხმარები, გაარკვიონ ურთიერთობა წყვილებს შორის, მაგალითად:

- რომელ დროშია ზმნა?
- რომელ ბრუნვაშია სუბიექტური პირი?
- რომელ რიცხვშია ზმნა?
- რომელ რიცხვშია სუბიექტური პირი?
- ზმნას რომ დრო შევუცვალოთ, როგორ შეიცვლის ბრუნვას სუბიექტი, ანუ რამ იქონია სუბიექტის ბრუნვაზე გავლენა?

შეკითხვას ბავშვები სწორად პასუხობენ, რომ ზმნაზე და მის დროზეა დამოკიდებული სუბიექტის ბრუნვა და მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ზმნა მართავს სუბიექტს ბრუნვაში. შემდეგ ვუსვამ კითხვას, სუბიექტი რომ მრავლობითში იყოს, მაგალითად, მზის მაგივრად ბავშვები (რადგან მზეს მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოება) რომ იყოს, რომელ რიცხვში იქნება ზმნა? მოსწავლეები ამასაც ადვილად პასუხობენ და ასკვნიან, რომ სუბიექტის რიცხვზეა დამოკიდებული ზმნის რიცხვი, სუბიექტი ითანხმებს ზმნას რიცხვში. ამის შემდეგ ვეკითხები: რომელი პირის ფორმაა სუბიექტი და რით არის ის გამოხატული ზმნაში? რადგან მათ პირის ნიშნები უკვე იციან, არ უჭირთ პასუხის გაცემა და მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სუბიექტი მართავს ზმნას პირში. ამისათვის ვასახელებთ რამდენიმე ზმნას სხვადასხვა პირსა და რიცხვში და ვამტკიცებთ უკვე შეძენილ ცოდნას, რომ სუბიექტი და ზმნა ეთანხმება ერთმანეთს რიცხვში და ერთმანეთს მართავენ ბრუნვასა და პირში (თუმცა იმას, რომ მნიშვნელობა აქვს რიცხვში შეთანხმებას სუბიექტი სულიერი სახელით არის გადმოცემული თუ უსულოთი, შემდეგ კლასში ისწავლიან). ამ საკითხზე ბავშვებს ვავარჯიშებ დაფასთან და დამოუკიდებლადაც, მხოლოდ შემდეგ გადავდივარ ზმნისა და ობიექტების ურთიერთობაზე. ბავშვები უმალ პასუხობენ დასმულ კითხვებს და თვითონ მიდიან იმ დასკვნამდე, რომ პირდაპირი ობიექტური პირი იმართება ზმნისგან ბრუნვაში, ხოლო ზმნას ვერ ითანხმებს რიცხვში. ბოლოს, ვთხოვ მათ, გაარკვიონ ურთიერთობა ირიბ ობიექტურ პირთან, ჩემი დახმარების გარეშე და სულ ადვილად ხვდებიან, რომ ირიბი ობიექტური პირი იძულებულია, იყოს სულ მიცემით ბრუნვაში, მაგრამ ორივე ობიექტური პირი მართავს ზმნას პირში, რადგან აიძულებენ, რომ ისინი გამოხატულნი იყვნენ პირის ნიშნებით, ანუ მართონ ზმნა (ობიექტური პირი რომ ითანხმებს ხანდახან ზმნას მრავლობით რიცხვში, ამას შემდეგ კლასში ისწავლიან).

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ამ მეთოდით ნამდვილად უადვილდებათ ჩემს მოსწავლეებს შემდეგ კლასში სინტაქსური ურთიერთობის სახეების შესწავლა.

თამარ ჩხაიძე
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. აკაკი შანიძე – ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები; რედაქტორი – ი. იმნაიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტომი პირველი, მორფოლოგია;
2. ვახტანგ როდონაია, ავთანდილ არაბული – ქართული ენა და ლიტერატურა, 2012წ.

სპორტი

სასკოლო ოლიმპიადა ფინიშს მიუახლოვდა

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა თანდათან გადის ფინიშის სწორზე – უკვე დაიწყო ბოლოსწინა ეტაპი, ზონალური შეჯიბრებები დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზონებში, თუმცა, ზოგიერთ სახეობაში ჯერ ისევ გრძელდება რეგიონული შეხვედრები. ასეთი სახეობები უკვე ერთეულებია და იქაც დღე-დღეზე გამოვლინდებიან ზონალური ტურნირების მონაწილენი.

13 მაისს დაიწყო პირველი ფინალური თამაშები. დასავლეთში, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმში ფრენბურთელთა ტურნირის მონაწილე გოგონები შეიკრიბნენ, მეორე დღეს იქვე ბიჭების შეჯიბრებაც გაიმართა. ტურნირში მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს რეგიონულ შეჯიბრებებში გამარჯვებულები იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, აჭარისა და აფხაზეთის რეგიონებიდან. ქუთაისელთა გასახარად, პირველ დღეს, გოგონების შეჯიბრებაში იქაურებმა გაიმარჯვეს – 22-ე საჯარო სკოლის გუნდმა ყველას აჯობა და ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა, რომელიც ივნისში ქუთაისშივე გაიმართება.

ბიჭებში ანალოგიური საგზური, მეორე დღეს, წყალტუბოს ზონის სოფელ მაღლაკის სკოლის გუნდმა დაისაკუთრა, რითაც შარშანდელი წარმატება გაიმეორა.

აღმოსავლეთის ზონაში ფინალური შეჯიბრება ბადმინტონში ჩატარდა, რომელსაც თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტულმა დარბაზმა უმასპინძლა. იქ გოგონებისა და ბიჭების ტურნირი ერთ დღეს, 13 მაისს ჩატარდა, მონაწილენი კი კახეთის, თბილისის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების გამარჯვებულები იყვნენ. გოგონებშიც და ბიჭებშიც ყველაზე ძლიერები თელაველები გამოდგნენ – პირველთა შორის მე-4 საჯარო სკოლის, ხოლო მეორე კატეგორიაში მე-5 სკოლის გუნდებმა იმარჯვეს, რომლებმაც გაინაღდეს ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა.

დასრულდა აღმოსავლეთის ზონალური გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში, რომელსაც 15 მაისს თბილისის სპორტკომპლექსმა „არენა-1“ უმასპინძლა. იქ თბილისის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა და ქვემო ქართლის რეგიონების ჩემპიონი გოგონები და ბიჭები შეიკრიბნენ. დედაქალაქელებმა იმარჯვეს – ბიჭებში საუკეთესო 199-ე სკოლის გუნდი აღმოჩნდა, გოგონებში – 90-ესი. ივნისში, ფინალურ ეტაპზე, ისინიც ითამაშებენ ქუთაისში, საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად.

ტურნირი წაუგებლად ჩაატარეს

თბილისმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს უმასპინძლა 17-წლამდელ წყალბურთელთა შორის, სადაც დიდი წარმატებით გამოვიდა საქართველოს ნაკრები, რომელმაც ტურნირი წაუგებლად ჩაატარა, ყველა მეტოქე დაამარცხა და ფინალური ეტაპის საგზური არავის დაუთმო. ჩვენს ნაკრებს სათავეში ახლო წარსულის ცნობილი ვარსკვლავები უდგანან, რომლებმაც ნამდვილად დაატყვეს ხელი გუნდს: მთავარი მწვრთნელი მსოფლიო წყალბურთის თანამედროვე ლეგენდა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი რუსეთის სახელით, ოლიმპიადის პრიზიორი **რევაზ ჩომახიძეა**, მას კი ცნობილი მეკარე **გელა ტუკვაძე** ეხმარება.

ჩვენს ნაკრებს შედარებით გაუჭირდა ფრანგებთან, რომლებმაც მეორე საგზური დაისაკუთრეს. თუმცა გაჭირვება პირობითად ითქმის, რადგან დიდი ანგარიშით მხოლოდ მათ ვერ მოუგეს, თორემ წარმატება არ გასჭირვებიათ, მთელი შეხვედრა ინიციატივას ფლობდნენ და 7:1 იმარჯვეს. საწყლოსნო სპორტკომპლექს „ოლიმპიკში“ გამართულ სხვა შეხვედრებში ჩვენებმა უფრო დიდი ანგარიშით იმძლავრეს, თუმცა განსაკუთრებით კვიპროსელები დაჩაგრეს – 26:4 მოუგეს კუნძულელებს, შვეიცარიას და ჩეხეთს კი ერთნაირი ანგარიშით, 10:3 სძლიეს.

ფინალურ ეტაპს, სექტემბერში, მალტა უმასპინძლებს, სადაც ევროპის 16 საუკეთესო გუნდი ითამაშებს. იმედია, ჩვენები იქაც წარმატებით ითამაშებენ, ქართულ წყალბურთს საიმედო რეზერვი რომ ეზრდება, ეს უკვე ფაქტია.

პარამოფარიკავეს ორმაგი წარმატება

ქართველმა პარამოფარიკავე **ნინა თბილაშვილმა** წარმატებით იხმალავა ჰოლანდიურ სტადსკანალში გამართულ პარამოფარიკავეთა მსოფლიოს თასზე, სადაც რაპირით ასპარეზობაში ოქროს მედალი მოიპოვა და მსოფლიო თასის გამარჯვებული გახდა, ხოლო დაშნით ბრინჯაო მოინადავლა. რაპირაში მან წინასწარ ეტაპზე 5 შეხვედრიდან 4 მოიგო და პლეი ოფში გავიდა, სადაც პოლონელი და თურქი მეტოქეები, შესაბამისად, 15:11 და 15:12 დაამარცხა, ფინალში კი ფრანგ კონკურენტს, ასევე, 15:12 მოუგო და კარიერაში უდიდეს წარმატებას მიაღწია.

ამ დღეებში თიბილაშვილი ევროპის ჩემპიონ **ირმა ხეცურიანთან** ერთად იმავე ტურნირზე უფროსთა შორისაც გამოდის.

მისასალმებელია, რომ საქართველოში პარასპორტს დიდი ყურადღება ექცევა და შედეგებიც არის: ძიუდოში პარაოლიმპიადის ჩემპიონიც გვყავს, **ზვიად გოგოჭური** (90). ასევე მისასალმებელია საკუთრივ ფარიკაობის ბოლოდროინდელი დიდი წარმატებებიც, როგორც პარაოლიმპიურ, ასევე – კლასიკურ დისციპლინაში, სადაც 23-წლამდელთა ნაკრები ხმლით ფარიკაობაში, აპრილში, ევროპის ჩემპიონიც გახდა.

ახალი ტიპის კლუბი მცირეწლოვანებისთვის

თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე, გაიხსნა ახალი საბავშვო სპორტული კლუბი – „Kids arena“. ესაა „ბავშვთა გამაჯანსაღებელი ევროპული ცენტრი“, სადაც მიიღებენ 3-დან 12 წლამდე ასაკის პატარებს. ისინი კლუბში გამოცდილი მწვრთნელ-ინსტრუქტორების დახმარებით ივარჯიშებენ და, სურვილის შემთხვევაში, ცურვისა თუ სხვა ჯგუფებშიც მოემზადებიან.

საქართველოსთვის ეს ახალი ტიპის კლუბი (მსოფლიოში უკვე კარგა ხნის აპრობირებული) ძალიან საჭიროა, რადგან ფიზიკური აღზრდა, სწორი მიმართულება ამ კუთხით და, ზოგადად, ცხოვრების ჯანსაღი წესი უფროსებშიც ხომ დიდი პრობლემაა, მით უფრო აქტუალურია სკოლებში და განსაკუთრებით – საბავშვო ბაღებში. ავად თუ კარგად, სკოლებში სპორტის გაკვეთილები მაინც ტარდება. უმაღლეს სასწავლებლებშიც რაღაც მინიმალური კეთდება ამ კუთხით, საბავშვო ბაღები კი საერთოდ მიშვებულია. არადა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის პირველი ნაბიჯი სწორედ ბაღის ასაკიდან უნდა გადაიდგას და ამაში ძალიან დიდი როლი ფიზიკურ აღზრდას, ვარჯიშსა და ცხოვრების ჯანსაღ წესს აკისრია.

შეიძლება ითქვას, ახალი კლუბის მამოძრავებელი ღერძი რეკრეაციული ტანვარჯიშია, ამოცანა კი – შეიქმნას უსაფრთხო და საინტერესო გარემო ფიზიკური განვითარებისა და გართობისათვის. იქ ყველა ვარჯიში გასართობი ხასიათისაა, რათა კლუბში გატარებული დრო პატარებისთვის რუტინად არ იქცეს. პირიქით – სახალისო იყოს, რომ თავადაც სიამოვნებით ჩაებან ვარჯიშებში, ისწავლონ სწორად ვარჯიში და ფიზიკური წრთობა ცხოვრების წესად ექცეთ. გამოცდილ ინსტრუქტორთა დახმარებით ისინი სწავლობენ როგორც გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს, ასევე – ისეთ ილეთებს, რაც ხელს უწყობს სხეულის ელასტიურობის განვითარებას, კოორდინაციას და სხვა აუცილებელ თვისებებს, ბავშვებს მომავალში აუცილებლად რომ გამოადგებათ ცხოვრებაში.

საინტერესოა, რომ კლუბში, ადგილობრივ ბავშვებთან ერთად, უკვე დადიან საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა შვილებიც. კლუბის ყველაზე პატარა წევრი 3 წლის მარიამ ხეჩიკაშვილია – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის, **ტარიელ ხეჩიკაშვილის** შვილი. კლუბის გახსნას მინისტრიც დაესწრო, კლუბის სახე კი ცნობილი ძალოსანი, მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდსმენი, ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ლაშა ტალახაძე** გახდა. მან გახსნის ცერემონიალზე განაცხადა: *„მინდა, წარმატება ვუსურვო ამ საინტერესო პროექტის წამომწყებებს. ბავშვები უნდა ვითარდებოდნენ და ბედნიერი ვიქნები, ამ საქმეში ჩემს წვლილსაც თუ შევიტან“.*

რუბრიკა მოამზადა ირაკლი თავაძემ

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესასრულებელი სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**. **კალენდარს ახლავს** შესასრულებელი გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

ს ი ა ხ ლ ე

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა

წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“

წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია



ერთი ტომის ფასი – 9 ლარი

თემატური ენციკლოპედია „რა არის რა“

- ქიმია
- მეცნიერებები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- კრიმინალისტიკა
- არქიტექტურა
- ევროპა
- უძველესი ადამიანი
- მეკობრეები
- ჯანსაღი კვება
- ამინდი
- ოლიმპიური თამაშები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >